ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „კორუფციონერთა შავი სია უნდა შევქმნათ“

გვ.5

რუსთავში სააკაშვილთან ლონდა თოლორაიას წარმომადგენელი მივიდა



ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2022 №4 (8782) ფასი: 60 თეთრი

# „მე არ მახსოვს, საქართველოში სოციალურ პრობლემებს ხალხი ქუჩაში გამოეყვანა“



მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციას გავრილოვის ღამეს ხელისუფლების შეცვლა შეეძლო“



გვ.2

## „ოპოზიცია სააკაშვილის ჩრდილიდან უნდა გამოვიდეს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილის შარდის ანალიზის გარდა არაფერი აინტერესებს“



გვ.3

## „ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს“

გვ.3



მურმან დუმბაძე: „ყაზახეთში მომხდარი ამბები „ქართული ოცნებისთვის“ გაკვეთილი უნდა იყოს“



გვ.4

## საქართველომ „3+3“-ის ფორმატში მონაწილეობაზე კიდევ ერთხელ უარი განაცხადა

რასმუსენი მოუწოდებს ნატოს, მიიღოს ალიანსში საქართველო და უკრაინა

## გარდაცვლილი ორსულის, სესილი ბუზუტაიშვილის, ოჯახი ექიმების დასჯას ითხოვს



გვ.5



## თემურ წიკლაურის საფლავი დააზიანეს

გვ.5



## შიდა ქართლში 15 წლის მოზარდები დაინიშნენ

გოგონას ბაბუა სკოლის დირექტორია

ISSN 1987-9385

**5** საფრანგეთში სამმა ქართველმა ფრანგი მილიონერის გაძარცვა სცადა

**4** იან კელი: „საქართველოს მთავრობა ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის“

**3** 1 თებერვლიდან თბილისში ყვითელი მიკროავტობუსები აღარ ივლიან

**6** ყაზახეთის მთავრობა გადადგა — ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

# მამუკა გამყრელიძე: „მე არ მახსოვს, საქართველოში სოციალურ პრობლემებს ხალხი ქუჩაში გამოეყვანა“

## „ოპოზიციას გავრილოვის ღამეს ხელისუფლების შეცვლა შეეძლო“

იაგო ნაცვლიშვილი

**ყაზახეთში განვითარებული მოვლენებიდან ჩანს თუ არა რაღაცა პარალელები საქართველოსთან და რამდენად უნდა იყოს მისაბაძი ჩვენთვის? რატომ არ ხდება საქართველოში სოციალური პრობლემების გაპროტესტება და რის მოლოდინშია ქართველი ხალხი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპელი სოციალისტების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე საუბრობს.**

***– ვხედავთ, რა პროცესებიც მიდის ყაზახეთში და თუ შეიძლება რაღაცა პარალელი გავავლოთ საქართველოსთან? სოციალური ქსელით თუ ვიმსჯელებთ, იმედგაცრუებაა საზოგადოებაში და ამბობენ, რომ ყაზახეთშიც კი ამხელა პროტესტია, მაშინ როდესაც, საქართველოში პოლიტიკური პროცესი ჩამკვდარია და მხოლოდ ერთ თემაზე ვართ ფოკუსირებულები.***

– სამწუხაროდ, არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია იმ პროცესებზე, რაც ყაზახეთში ხდება. ვიცი, რომ გაზის ფასის მომატებასთან იყო პროტესტი, მაგრამ ასეთი პროცესები ხშირად მართულია ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ასეთ ავტოკრატიულ ქვეყნებში. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მართული იყოს დაპირისპირებული მხარეების მხრიდან.

ფაქტია, რომ ვიცე-პრემიერმა თქვა, დავწევთ გაზის ფასს და იმაზე ნაკლები გახდება, ვიდრე მის მომატებამდე იყოო, მაგრამ ხალხი მაინც გამოვიდა, გადაკეტეს ქუჩები და შეიჭრნენ მთავრობის სახლში. ეს მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლას უფრო ჰგავს. იმიტომ, რომ ძირითადად მშვიდი მოსახლეობაა ცენტრალურ აზიაში და ასეთი რაღაცები, ყოველთვის ვიღაცის მიერ არის ხოლმე ორგანიზებული. ექსპერტულ დასკვნას ამაზე მე ვერ გავაკეთებ. ვიცი იმდენი, რის საშუალებასაც მედიიდან მოწოდებული ინფორმაცია გვაძლევს. შემდგომში უფრო გავაანალიზებთ ვითარებას.

***– საქართველოსთან მიმართებით რაღაც საერთო კონტურები იკვეთება? თუნდაც იგივე ავტორიტარიზმის ნიშნების თვალსაზრისით, რაც ბოლო 2 წელში ჩვენთანაც გაჩნდა?***

– მე არ მახსოვს, საქართველოში სოციალურ პრობლემებს გამოეყვანა ხალხი ქუჩაში. ერთად ერთხელ იყო საკასო აპარატების თემასთან დაკავშირებით, ისიც, მაშინ „ლეიბორისტების“ მიერ იყო ორგანიზებული. სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან პასიურები ვართ.



***– რატომ არ გამოვდივართ ამ თემების გასაპროტესტებლად?***

– ქართველებს არ უყვართ ჩვენება, რომ ისინი ღარიბები და გაჭირვებულები არიან. სამწუხაროდ, ასეა. ურჩევნიათ, რომ რაღაცაზე მოხდეს საზოგადოების განრისხება და ამის გამო გამოვიდეთ.

***– თუმცა, ბოლო პერიოდში არც იმ რაღაცაზე არ გამოვდივართ.***

– როგორ არა. გაიხსენეთ, ზაზა სარალიძის აქცია, რამდენი ადამიანი გამოვიდა მაშინ პროკურატურასთან. პროკურორის გადადგომა მოყვა ამას. ან გაიხსენეთ გავრილოვის ღამე და ის პროცესები, რამდენი ადამიანი გამოვიდა და რასაც სისხლიანი პროცესები მოყვა, თუმცა შემდეგ, გარკვეულმა ძალებმა მოახერხეს და ჩაახშეს ეს მუხტი, თორემ არ იყო გამორიცხული, რომ ეს ხელისუფლების ცვლილებით დამთავრებულიყო. ეს მოხდებოდა ოპოზიციური პარტიების სწორი მუშაობის შემთხვევაში.

დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ხალხს დაკარგული აქვს ნდობა პოლიტიკური კლასისადმი, როგორც ხელისუფლების მიმართ, ასევე ოპოზიციის მიმართაც. ამიტომ, აშკარად ჩანს, რომ ხალხი ელოდება რაღაცა ახლის გამოჩენას. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ცენტრისტული ძალები, იმიტომ, რომ საზოგადოებას მობეზრდა დაპირისპირებები. ესეც ფაქტორია, რომ ხალხი გადაღლილია დაპირისპირებებით, გადაღლილია ურთიერთბრძოლით, ორი პოპულარული ძალის და, შესაბამისად, ელოდებიან რაღაცა დასაყრდენს ცენტრში. ეს აუცილებლად გამოჩნდება და, ჩემი აზრით, ეს წელი სწორედ ასეთი წელი იქნება.

ერთი თემა, რაც ბოლო თვეებია მუდმივად მუსირებს საზოგადოებაში და იმდენად მომაბეზრებელი გახდა, რომ ჩემი აზრით, იმ ადამიანს შეუქმნის ყველაზე დიდ პრობლემას, ვის გარშემოც ეს ტრიალებს.

***– სააკაშვილს გულისხმობთ და პრობლემებს შეუქმნის?***

– დიახ, სააკაშვილს ვგულისხმობ.

როდესაც ხდება ერთ საკითხზე მუსირება, ხდება მობეზრება. მე მუდმივად ვაკეთებ ვითარების მონიტორინგს და მახსოვს ქართულ პოლიტიკაში შემთხვევები, როდესაც ზედმეტი პიარი და გამოჩენა ტელესივრცეში იწვევდა ხალხის გაღიზიანებას და ის პოლიტიკოსი კარგავდა რეიტინგს.

***– ალბათ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვა პრობლემები უკანა პლანზეა გადაწეული და მუდმივად ამ თემაზე მიდის სწორება.***

– რა თქმა უნდა. ჩვენ გაცილებით სერიოზული პრობლემები გვაქვს და მე მხოლოდ სოციალურ პრობლემებს არ ვგულისხმობ. ეს არის პოლიტიკური პრობლემები. რეალურად მართლა ავტოკრატიის დონეზე ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, როდესაც მთელი უწყებები იშლება, თან ისეთი უწყება, როგორიც არის ინსპექტორის ინსტიტუტი. ეს უწყება დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. რეალურად მმართველი პარტიის ლიდერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდა ამ ორგანიზაციის რეორგანიზაცია, მე არ ვიტყვი, რომ დაშლა. სწორია და რეორგანიზაცია გასაკეთებელი იყო, მაგრამ ის უნდა გაკეთებულიყო ბევრად რბილად – კონსულტაციებისა და ხალხთან საუბრის საფუძველზე, რაც მშვიდად და ლამაზად დამთავრდებოდა.

***– დროს და კონტექსტსაც ხომ აქვს მნიშვნელობა?***

– რა თქმა უნდა. პოლიტიკა სწორედ ეს არის, რომ საზოგადოება უნდა შეაჩვიო რეორგანიზაცია იქნება ეს თუ სიახლე. საერთოდ ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს ნეოფობია, რაღაცას მიჩვეულები არიან და სიახლის ყოველთვის ეშინიათ ხოლმე. ამიტომ, ამის ცვლილებები ნელ-ნელა უნდა მოხდეს.

წინა ხელისუფლების დროს რეფორმები რომ გაკეთდა, ის გაკეთდა ძალიან უხეშად. მე მივესალმები ამ რეფორმებს, მაგრამ ისე უხეშად გაკეთდა, რომ ამან უკურეაქცია გამოიწვია და მივიღეთ ხელისუფლებაში „ოცნება“, რომელსაც არც რეფორმის გაგონება უნდა, არც სიახლის და არც წინსვლის.

პოლარულად დაპირისპირებული ძალებია დღეს პოლიტიკურ ველზე და არც ჩანს სტაბილურობა, რასაც ცენტრისტული ძალები წარმოადგენენ ხოლმე, რომლებიც ორივე მხრიდან საუკეთესოს იღებენ. სამწუხაროდ, ეს არ გვაქვს და მგონია, რომ ეს აუცილებელი იქნება და მოხდება კიდეც რაღაცა ცენტრისტული ძალების მოძლიერება.

***– ყაზახეთის თემას რომ დავუბრუნდეთ, თითქოს მოხდა ჩვენთან ამ თემის რომანტიზირება, მაგრამ იქნება კი ეს ის, რაც დასავლეთისკენ წაიყვანს ამ ქვეყანას, რომ მისაბაძი გახდეს ჩვენთვის? მე მგონი, საქართველოს ყაზახეთიზაციაზე არ გვიოცნებია.***

– ჩემს ახალგაზრდობაში იყო ასეთი ტერმინი „ავარდნისტიაო“ და ქართულ საზოგადოებას „ავარდნისტობა“ ახასიათებს. უცებ ავარდებიან ხოლმე რაღაც მოვლენაზე და აღტაცებულები და ბედნიერები არიან. ბევრჯერ მინახავს, რომ, სამწუხაროდ, არასწორი რეაგირება ჰქონდათ ხოლმე. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ შედეგებს. ყაზახეთში არ არის მოთხოვნები რაღაც კურსის ცვლილების ან სიახლისა და რეფორმების.

***– ბელორუსში იყო, მაგრამ შედეგი იქაც სულ სხვა დადგა.***

– კი, ბელორუსში ნამდვილად იყო და იქ სრულიად სხვა სიტუაციაა. ყაზახეთში, დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანებში არც იქნება. ალბათ ხელისუფლება შეიცვლება იქ, ხელმძღვანელ ძალებს შორის ძალთა გადანაწილება სხვაგვარად მოხდება, მაგრამ ისევ ავტოკრატიული რეჟიმი დარჩება.

***– ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ საინტერესო მომენტია, რომ მარტო რუსეთის გავლენის ქვეშ არ არის. რუსეთი თმობს პოზიციებს, ცენტრალურ აზიაში ჩინეთის გავლენა იზრდება. ცენტრალური აზია მკვეთრად იყო გაყოფილი – სამხედრო თვალსაზრისით რუსეთზე იყო მიბარებული და ეკონომიკური თვალსაზრისით ჩინეთზე. ახლა ნელ-ნელა რუსეთი პოზიციებს უთმობს ჩინეთს. დავინახეთ, რომ ჩინეთმა გახსნა ორი სამხედრო ბაზა ტაჯიკეთში, რაც ვარდება იმ პარადიგმიდან, რაც აქამდე იყო. ეს მომენტი გასათვალისწინებელია, ძალიან აქტიურად მუშაობს ჩინეთი. ბევრი თემაა გადაჯაჭვული, ამიტომ მე ვერ ვიტყოდი, რომ მარტო რუსეთის გავლენაა ყაზახეთში.

# 1 იანვრიდან 1995-99 წლების გამოშვების ლარის მიმოქცევა ამოიწურა



2022 წლიდან 1995-99 წლების გამოშვების ლარის ბანკნოტების მიმოქცევის ვადა ამოიწურა.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 2022 წლის 1 იანვრიდან საგადამხდელო საშუალებად აღარ გამოიყენება მხოლოდ 1995 და 1999 წლების გამოშვების ლარის ბანკნოტები, რომლებზეც მითითებულია გამოშვების წელი.

2002 წლიდან დღემდე გამოშვებული ლარის ყველა ნომინალის ბანკნოტი კი გადახდის კანონიერი საშუალებაა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია, შეუფერხებლად მიიღოს და განახორციელოს ანგარიშსწორება ამ ბანკნოტებით.

ამასთან, 1995-99 წლების გამოშვების ბანკნოტების გადაცვლა საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრშია შესაძლებელი“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ანა ბუჩუკური: „სააკაშვილზე საგამოძიებო კომისიის შექმნა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია“

– სააკაშვილთან დაკავშირებით კომისიის შექმნა არსებულ პირობებში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჯერ კიდევ ფუნქციონირებს.

ამის შესახებ გუშინ, 5 იანვარს, ჟურნალისტებთან პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატმა ანა ბუჩუკურმა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ხატია დეკანოიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, მათთვის მიუღებელი იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა არ ესწრებოდა სხდომას, სადაც უმრავლესობამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით კანონპროექტი მიიღო.

– ჩვენ გვქონდა ხატია დეკანოიძესთან შეხვედრა, მან კოლეგიალურად გვთხოვა და, ბუნებრივია, როგორც კოლეგას, შევხვდით. თუმცა, ჩვენი პოზიცია, პრინციპში, უკვე იყო საზოგადოებისთვის ცნობილი – არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ კომისიის შექმნა ამ პირობებში.

იცით, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჯერ კიდევ ფუნქციონირებს და მიუღებელი იყო და ვუთხარით ხატია დეკანოიძესაც, რომ როცა „ქართული ოცნება“ იღებდა ისეთ მავნებლურ გადაწყვეტილებას ერთადერთი შემორჩენილი სახელმწიფო დამოუკიდებელი უწყების გაუქმების შესახებ, ცარიელი დარბაზი იყო ფაქტობრივად ოპოზიციის მხარეს, 11 ოპოზიციონერი ვიყავით, ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა, – განაცხადა ბუჩუკურმა.

ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ შესაძლოა, საგამოძიებო კომისიაში მონაწილეობა მიიღონ, ანა ბუჩუკურს არ გაკვირვებია.

– „ქართული ოცნებისთვის“ უფრო ხელსაყრელია, მოქალაქეებისთვის სისტემური პრობლემის ნაცვლად, შოუზე გადაიტანოს აქცენტები, ასე რომ, არ გამიკვირდა ირაკლი კობახიძის განცხადება, მანამდე ვხუმრობდი კიდეც, ალბათ გამოვლენ და მხარს დაუჭერენთქო, – აღნიშნა ანა ბუჩუკურმა.



# დავით ზალკალიანს ვიქტორ დოლიძე შეცვლის?

„ქართული ოცნება“ დიდი საკადრო გადაადგილებისთვის ემზადება.

დასავლეთისა და სტრატეგიული პარტნიორების შტურმის შემდეგ ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყნებში ელჩებს მასობრივად ცვლის, ცვლიან საგარეო საქმეთა მინისტრსაც.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, დავით ზალკალიანს „ოცნებიდან“ ერთხელ უკვე წასული და შემდეგ დაბრუნებული ვიქტორ დოლიძე ჩაანაცვლებს.





აღნიშნულ ვერსიას მისი ძმის გადაწყვეტილებაც ამყარებს.

ლევან დოლიძემ, რომელიც თბილისის საკრებულოში გახარიას პარტიული სიით შევიდა, მანდატი რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად დატოვა.

„პირველების“ ინფორმაციით, დავით ზალკალიანი ამერიკაში საქართველოს ელჩად გადაჰყავთ, ხოლო დავით ბაქრაძე, რომელიც ამჟამად ამერიკაში ელჩია, გაეროში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი გახდება.

„ქართულ ოცნებაში“ საკადრო ცვლილებებს არ ადასტურებენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს“

## მურმან დუმბაძე: „ყაზახეთში მომხდარი ამბები „ქართული ოცნებისთვის“ გაკვეთილი უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნაზე საუბარი, ეკონომიკური პროგრამის განხილვა და ა.შ. ხომ არ ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა ბრძოლის გზას ცვლის? ქუჩიდან პარლამენტში ინაცვლებს?***

— სიმართლე გითხრათ ამ გადაწყვეტილებით ძალიან აღფრთოვანებული არ ვარ. ეს ჩემი აზრია. პარლამენტთან ურთიერთობა არაფრის მომტანია და ეს ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ. ამ აზრზე ვიყავი და ვრჩები დღემდე. პარლამენტი არ არის ლეგიტიმური ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები გაყალბებულია, ამ მონაცემებითაც საქართველოს მოქალაქეებს ერთი პარტიის სასარგებლო არჩევანი არ გაუკეთებიათ. „ქართული ოცნება“ უმრავლესობას არ უნდა ფლობდეს. ამიტომ, ვამბობ, რომ სახეზეა უზურპირებული ძალაუფლება „ქართული ოცნების“ მიერ. უზურპატორთან ურთიერთობა კი არ შეიძლება.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებას, თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ პარლამენტში უნდა დაბრუნდნენ, შექმნან საგამოძიებო კომისია, ეს მათი უფლებაა. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. თუ რამე გამოვა, ვნახოთ. მე წინააღმდეგი კი არ ვარ, მთავარია შედეგი დაიდოს, მაგრამ მე ჩემს კატეგორიულ პოზიციას ვაფიქსირებ, ხელისუფლებასთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს ოპოზიციამ.

***— თუ შედეგი არ მოაქვს?***

— შედეგი სწორედ ბოიკოტს მოაქვს. 19 აპრილამდელ ურთიერთობებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოპოზიცია იყო მკაცრი ბოიკოტის პირობებში და ამან შედეგი დადო. ხელისუფლებას დათმობებზე წამოსვლა მოუწია. ღარიბაშვილი და სხვებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში პოლიტპატიმარი არ არის, მაგრამ ეს ტერმინი გაჩნდა. ნიკა მელია პოლიტპატიმრად ცნო დასავლეთმა და ის ციხიდან გამოუშვეს, როგორც რურუა და დანარჩენები. ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით, რომ პოლიტიკაში თანმიმდევრულობა, შენი პოზიციის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. სიყალბეს არ უნდა შეურიგდე და მისი თანამონაწილე არ უნდა გახდე. ამაზე ვსაუბრობ.

***— თქვენ მხარს არ უჭერთ საგამოძიებო კომისიის შექმნას?***

— დიახ, ვუჭერ. მიუხედავად ჩემი ამ პოზიციისა, ვთვლი, რომ მათ ეს საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანონ და უნდა შეძლონ კომისიის შექმნა. ნაციონალური მოძრაობა ყველაზე დიდი ფრაქციაა და ყველაზე მეტი დეპუტატები ჰყავს პარლამენტში და არ უნდა გაუჭირდეთ. როგორც ვიცი, ოპოზიციურ ფრაქციებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ მიმართულებით.

***— გაზაფხულისთვის ოპოზიცია უკვე სხვა თემებით, სხვა პრიორიტეტებით გამოვა? ვადამდელი არჩევნები, როგორც ჩანს, ჩავლილი თემაა.***

— არა, არ არის ჩავლილი თემა. მეტიც, სულ არ გამოვრიცხავ, რომ ბევრად უფრო ადრე დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია ოპოზიციაში.

***— ასე რატომ ფიქრობთ, რა გაძლევთ ამის საფუძველს?***

— ბევრი რამ. მსოფლიო კონტექსტს დააკვირდით. მხოლოდ სოციალურ სიდუხჭირეზე არ გავაკეთებდი აქცენტს. გაზის გადასახადის გაზრდის გამო, არა მგონია, ყაზახეთში რევოლუცია მომხდარიყო. ასე არ არის. ეს მხოლოდ საბაბი შეიძლება იყოს. ცვლილებები ძალას იკრებდა მთელი ამ ხნის მანძილზე ყაზახეთში. ხალხმა ბოლოს და ბოლოს უარი უთხრა ნურსულთან ნაზარბაევის ეპოპეას, რომელიც 80-იანი წლებიდან არაფორმალურად მართავს ყაზახეთს. ადამიანებს ყელში ამოუვიდათ ეს ყველაფერი და ამოხეთქა იმან, რაც მოსალოდნელი იყო და რაც სრულიად ბუნებრივია. ასე იფეთქებს ყველგან, მათ შორის, არ გამოვრიცხავ, იფეთქოს ჩვენთანაც. ადამიანების მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსება. თუ, ახლა, ხელისუფლებაში ვინმე ფიქრობს, რომ გაზის ან დენის გაზრდილ გადასახადს შეამცირებს და ამით ხალხის გულს მოიგებს და მშვიდად გააგრძელებს არსებობას, მინდა ვუთხრა, ძალიან ცდებიან.

***— როგორ ფიქრობთ, რა პროცესებია ხელისუფლების შიგნით? არის ვინმე, ვისაც პრაგმატულად შეიძლება უნდოდეს ოპოზიციასთან თანამშრომლობა?***



— რა თქმა უნდა, არიან. პირველ რიგში ისინი, ვისაც პოლიტიკა ესმით და გაეგებათ.

***— ვინ შეგიძლიათ დაასახელოთ?***

— არა. შემიძლია გითხრათ ის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი მკვეთრი დაპირისპირების ფონზე, გამარჯვებული არ არსებობს. ვისაც ესმის, რომ ამ დროს ორივე მხარე დამარცხებულია. ვისაც ესმის, რომ ამ ნანგრევებში თვითონაც მოჰყვება. ერთი ფაქტი შემიძლია გითხრათ: როდესაც, აბაშიძის ხელისუფლებას ვასრულებდით, ბოლო დღეებში იმ ხელისუფლების ძალიან ცნობილი პირები ოპოზიციის მხარეს გადმოვიდნენ. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ოპოზიციის ძალა იზრდება. პრაქტიკულად ყაზახეთში მომხდარი დღევანდელი ამბები „ქართული ოცნებისთვის“ გაკვეთილი უნდა იყოს. 21-ე საუკუნეში, ხელისუფლებაში ათი წელი ნამეტანია და ამას უნდა გრძნობდე.

# „ოპოზიცია სააკაშვილის ჩრდილიდან უნდა გამოვიდეს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილის შარდის ანალიზის გარდა არაფერი აინტერესებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***— ბატონო პაატა, არცთუ ისე კარგად დაიწყო 2022 წელი, არაერთი კრიტიკა მოვისმინეთ დასავლეთიდან ხელისუფლების მისამართით. ამ ფონზე ვისმენთ ირაკლი კობახიძის მკვახე განცხადებებსაც. ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ დასავლეთს შანტაჟის ენით ესაუბრება, თუ დაგვიწესებთ სანქციებს, წავალთ რუსეთისკენო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— აქ ორი მომენტი უნდა განვიხილოთ, დასავლეთი გადასულია საქართველოს გადარჩენაზე. საქართველოში დემოკრატიის გადარჩენა უნდა და მათი კრიტიკა არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში დემოკრატიის და ქართველი ხალხისადმი პატივისცემიდან გამომდინარე. უნდათ, რომ ის ძალისხმევა, რაც ოდესღაც ქართველმა ხალხმა ჩადო დემოკრატიის განვითარებაში, არ დაიკარგოს. თუ დასავლეთი გადასულია ქართული დემოკრატიის გადარჩენაზე, „ქართული ოცნების“ მესვეურები გადასულები არიან შანტაჟსა და მუქარაზე. თუ არ გინდივართ, კარგად იყავით, თუ ასეთი კრიტიკულები იქნებით, თქვენი ბრალი იქნება ჩვენ შორის ურთიერთობების გაფუჭებაო. დაახლოებით ეს შეტყობინებაა კობახიძისაგან. მე მგონი, ივანიშვილმა იპოვა ის ადამიანი, ვინც უნდოდა, ვინც ასე უტიფრად, ცინიკურად დაელაპარაკებოდა არა მარტო თავის ხალხს, არამედ დასავლეთსაც. პრაქტიკულად ის ჭრის ტოტს, რომელსაც შემდეგ აბრალებს დასავლეთს. აფეთქებს იმ ხიდს, რომელიც გვაკავშირებს დასავლეთთან და თანაც ამას აბრალებს დასავლეთს. ზუსტად ისე იქცევიან, როგორც იქცევა რუსეთი.

***— პრორუსული სახელმწიფო ვართ?***

— ჩვენ არ ვართ პრორუსული სახელმწიფო, ჩვენ ვართ რუსული ყაიდის სახელმწიფო. თავისი არადემოკრატიული პროცესები გააქვთ და ამას ამართლებენ იმით, რომ დასავლეთი მხარში არ უდგას. დაახლოებით ის ვითარებაა, რასაც პუტინი ეუბნება დასავლეთს. ეს არის რუსული სტილი, შანტაჟის ენით საუბრობენ და მერე ცდილობენ ეს მათ გადააბრალონ. ამ სიტუაციაში ქართველმა ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს, უფრო მეტად პრინციპული უნდა იყოს. ქართველი ხალხის ერთ-



ერთი რიგითი წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ ის, რასაც კობახიძე ამბობს, არის სიცრუე. ეს არის უტიფრობა, რომელიც დაუშვებელია და ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს. ამით დასავლეთს კი არ დავკარგავთ, არამედ დავკარგავთ დემოკრატიას. ასევე იმ ღირებულებებს, რაც დასავლეთშია. ქართველმა ხალხმა უკვე იგემა, თუ რა არის ნამდვილი დემოკრატია და შეუძლებელია, ამ ხელისუფლებამ აქედან გადაგვახვევინოს.

***— რას ცდილობს „ქართული ოცნება“? მმართველობის ბოლო პერიოდი აქვს და კუდს იქნევს?***

— „ქართული ოცნება“ ჯერ არ არის მმართველობის ბოლო პერიოდში, სულ მცირე, 2024 წლამდე მაინც იქნება, ის ამაში დარწმუნებულია და ოპოზიციაც ამის გარანტიას იძლევა, იმიტომ, რომ სააკაშვილის შარდის ანალიზის გარდა მას არაფერი აინტერესებს.

***— ბევრი ადანაშაულებს დღეს ოპოზიციას, ძალიან სუსტი ოპოზიცია გვყავს და სწორედ მათი ბრალია, „ქართულმა ოცნებამ“ რომ ასე გაშალა ფრთებიო. ასეა?***

— რა თქმა უნდა, ასეა. მე თქვენთანაც არა ერთხელ მითქვამს, რომ სამეგრელომ აჩვენა, თუ როგორი ადვილი ყოფილა „ქართული ოცნების“ დამარცხება, თუ არსებობს მოტივაცია. მოტივაცია ვერ შეუქმნა ოპოზიციამ ხალხს. სამარცხვინოზე სამარცხვინოა, როდესაც გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ თურმე „სიკვდილის პირას“ მყოფი სააკაშვილი დღეს ფიქრობს სიღარიბის დაძლევაზე. არჩევნების დროს სად იყვნენ?! მაშინ უნდა ელაპარაკათ ამაზე! არც ერთ პარტიას პროგრამა რომ არ წარუდგენია. სწორედ სიღარიბეა ამ ხელისუფლების მამოძრავებელი ძალა. ესაუბრათ ამაზე არჩევნების წინ! ახლა, ციხიდან მოუნდა პროგრამაზე ლაპარაკი?! საერთოდ ვერ გავიგე, რა უნდა და სად არის ეს ადამიანი. პოლიტიკაში რომ არ არის, ეს გასაგებია.

***— ცდილობს, სულ ყურადღების ცენტრში იყოს და მის შესახებ ისაუბრონ. შიმშილობის და პროტესტის ფორმა ჩავარდა, ახლა ახალი რამ წამოიწყესო. როდემდე შეძლებენ, რომ იტივტივონ ზედაპირზე?***

— ვიდრე ნაციონალური მოძრაობა იქნება რელიგიური ორგანიზაცია და არა პოლიტიკური ორგანიზაცია და იქნება იზმი, როგორც სტალინიზმი, მანამდე ის იარსებებს. ესენი იქნებიან ბელადი მიშა სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები. მე ნამდვილად არ მესმის იმ ხალხის, ვინც შიმშილობა დაიწყო და შემდეგ ეს შიმშილობა შეწყვიტა, ისევ მიშას მოთხოვნით. რობოტები ყოფილან, არაფერი პირადული არ გააჩნია ამ ხალხს. შიმშილობაზე რომ მიდიხარ ადამიანი, პრინციპული უნდა იყო. ესენი ყოფილან პრინციპებისგან დაცლილი ადამიანები, რომლებსაც უბრძანებენ — იშიმშილე, შიმშილობენ, შემდეგ უბრძანებენ — არ იშიმშილო და ისინიც წყვეტენ შიმშილობას. ეს არის რელიგიური სექტა, არაფერი საერთო მათ არა აქვთ პოლიტიკასთან! აი ეს არის „ქართული ოცნების“ მთავარი ოპოზიცია! ყველაზე სამარცხვინო კი ის არის, რომ ეს ოპოზიცია, სხვა ოპოზიციას კარნახობს პირობებს და უდგენს დღის წესრიგს. ვიდრე ისინი არიან სააკაშვილის ჰიპნოზის ქვეშ, მანამდე არაფერი არ ეშველება ოპოზიციას. ქვეყანას რომ არ ეშველება, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

***— რადგან მთავარი ოპოზიციის სტატუსი აქვთ, ამით დანარჩენ ოპოზიციასაც აზარალებენ?***

— მეტწილად თავად იზიანებენ საკუთარ თავს. იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკონ პრინციპულ საკითხებზე, ისინი ჩამოკიდებულები არიან სააკაშვილის შარდის ანალიზს. ასე არაფერი არ გამოვა. ცოტა მეტად პრინციპულნი უნდა იყვნენ. ვერავინ დააზარალებს თუ თავად არ დააზარალეს საკუთარი თავი. მე არ მესმის, რა უნდა ლელოს ამდენ ხანს ნაციონალურ მოძრაობასთან და რატომ არ იტყვის, რომ ვემიჯნებით მათ, ბოლოს და ბოლოს დაგვანებეთ თავი! აღიარონ შეცდომა, გამოვიდნენ და თქვან კაცურად, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც აღმოჩნდნენ ნაციონალური მოძრაობის ორბიტაზე. ასე რომ, ოპოზიცია თვითონ აზარალებს თავის თავს. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, „ოცნებას“ ფრთები აქვს გაშლილი, სულაც არ ფიქრობს, რომ მისი მმართველობა მალე დასრულდება, ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები არიან. ნირვანაში არიან ბედნიერებისგან. 2024 წლამდე ეს სიტუაცია იქნება და არაფერი შეიცვლება. ოპოზიციამ დროა 2024 წლის არჩევნებისთვის იფიქროს და მოემზადოს. ადგნენ და დაიწყონ პროგრამების წერა, იმუშაონ სიღარიბის დაძლევის გზებზე. უამრავი საკითხია, რომელზეც პროგრამები უნდა დაიწეროს და გადაჭრის გზებზე დაიწყონ ფიქრი.

***— სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გამო დიდი კრიტიკა და ზეწოლა მოდის დასავლეთიდან. შეაფერხებს ეს „ოცნებას“ თუ მაინც მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რაც დაისახა მიზნად?***

— რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ თავისას გაიტანს. მათი მთავარი ამოცანა დღეს უტიფრობა და ამ უტიფრობით თავის გატანაა. პრობლემა ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმება კი არ არის, პრობლემა ის არის, როგორ რეაგირებს ამისთანა რაღაცებზე „ქართული ოცნება“. ის რეაგირებს უტიფრად, ცინიკურად და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სუფთა რუსული პოლიტიკაა. დღეს ცხადია ერთი რამ, „ქართულ ოცნებას“ არ უნდა დემოკრატია. მას უნდა ძალაუფლების მფლობელი და ბატონ-პატრონი იყოს. ხალხიც არ აპროტესტებს, მიყვება მათ და სწორედ ეს აძლევთ მათ ამდენი უტიფრობის უფლებას. დღეს ქართველი ხალხი ვერ ხედავს მოტივაციას, თუ რატომ უნდა გამოვიდეს ქუჩაში, მას ჰყავს ცუდი ოპოზიცია და ამიტომ.

***— გაუშვას „ოცნება“ და მოიყვანოს სააკაშვილი? ხალხს ეს არ უნდა?***

— რა თქმა უნდა! სრულიად გეთანხმებით. გაინძრეს ოპოზიცია და 2024 წლამდე შეცვალოს სიტუაცია. ისევ სააკაშვილი ცდილობს სათავეში მოექცეს. ახლა სიღარიბის დაძლევაზე დაიწყო საუბარი. ყოველთვის სააკაშვილი რატომ სჯობნის, ჭკუა რატომ არ ყოფნის დანარჩენ ოპოზიციას?! ჩამოშორდნენ სააკაშვილს და თავად გაანძრიონ თავი.

***— ვერ გამოვიდნენ სააკაშვილის ჩრდილიდან?***

— მისი ჰიპნოზიდან ვერ გამოვიდნენ. რაღაც უცნაური სჭირთ. რა მოუვიდა ამ ოპოზიციას, გაილვიძონ და იმოქმედონ.



# 1 თებერვლიდან თბილისში ყვითელი მიკროავტობუსები აღარ ივლიან

1 თებერვლიდან თბილისში ყვითელი მიკროავტობუსები აღარ ივლიან. მათ სრულად ჩაანაცვლებენ ახალი ლურჯი მიკროავტობუსები, რომლებიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში დანერგილ ახალ საგადასახადო სისტემაზე სრულადაა მორგებული.

შეგახსენებთ, 1 თებერვლიდან დედაქალაქში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გადასახადის სააბონიმენტო სისტემა ამოქმედდება.

ახალი სისტემის მიხედვით, მომხმარებელს რამდენიმე სხვადასხვა ვადიანი აბონემენტის შეძენა შეუძლია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ახალი ბარათების ყიდვა 5 იანვრიდან მეტროსადგურებშია შესაძლებელი.

6 იანვრიდან ბარათის შეძენა მომხმარებლებს „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალებშიც შეეძლებათ.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# საქართველომ „3+3“-ის ფორმატში მონაწილეობაზე კიდევ ერთხელ უარი განაცხადა

## რასმუსენი მოუწოდებს ნატოს, მიიღოს ალიანსში საქართველო და უკრაინა

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის უკრაინაში შესაძლო შეჭრისა და მოახლოებული მოლაპარაკების ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გააქტუალურდა სხვა მოვლენები. ამ პროცესებს პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოსთან.

საქართველო, როგორც ცნობილია, რუსეთისა და თურქეთის მხრიდან მოიაზრებოდა „3+3“-ის პლატფორმის პოტენციურ წევრად. ამ ფორმატის მომავალი, ანუ მეორე შეხვედრა თურქეთში იგეგმება. საქართველომ ამ ფორმატში მონაწილეობაზე კიდევ ერთხელ უარი განაცხადა.

საქართველოს ელჩმა თურქეთში გიორგი ჯანჯღავამ ადგილობრივი მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველო ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ იღებს.

ელჩის განმარტებით, თურქეთი და აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები არიან, სომხეთი – ისტორიული და კეთილი მეზობელი, ხოლო რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%.

ფორმატში „3+3“ ასევე მონაწილეობს ირანი. პლატფორმის პირველი შეხვედრა მოსკოვში გაიმართა. საქართველო მასზე წარმოდგენილი არ ყოფილა. საქართველოს ადგილი თავისუფალი დარჩა.



ითვლება, რომ „3+3“ ის ჩარჩოში საქმიანობის გააქტიურება გულისხმობს რეგიონიდან დასავლეთის განდევნას. ამ ფორმატით დაინტერესება, განსაკუთრებით, სატრანზიტო-ეკონომიკური კუთხით, გამოითქვა ოკუპირებულ აფხაზეთში. სოხუმმა აღნიშნა, რომ ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შემდეგ რეგიონში შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც უნდა გამოიყენონ სოხუმმა და თბილისმაც.

ანკარა, რუსეთთან და ირანთან თანამშრომლობის მიუხედავად, დასავლეთის მოკავშირედ რჩება. უკრაინის საკითხზე ქმედებების კოორდინაციაზე თურქეთის საგარეო მინისტრი მებლუთ ჩავუშოღლუ და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი შეთანხმდნენ. მხარეებმა ნატოს გაფართოებაზეც ისაუბრეს.

დასავლეთის წარმომადგენლები სისტემატურად აკეთებენ განცხადებებს რუსეთის ულტიმატუმის მიუღებლობაზე. კრემლი, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ნატოს გაფართოებაზე უარის თქმას და ამის თაობაზე წერილობით იურიდიულ გარანტიებს მოითხოვს.

ბევრი დასავლელი ექსპერტისათვის მიუღებელია ისიც, რომ აშშ და ნატო დათანხმდნენ მოსკოვთან დიალოგს, რაც, მათი აზრით, რუსეთს აძლიერებს.

ნატოს ყოფილი გენმდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი უფრო შორს მიდის და ბრიუსელისგან მოითხოვს საქართველოსა და უკრაინის ნატოში დაუბრკოლებლად მიღებას.

– ნატომ უნდა განიხილოს საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღების შესაძლებლობა ამ სახელმწიფოებში კონფლიქტების მოუგვარებლად, – განაცხადა ექს-გენმდივანმა.

რასმუსენი მოუწოდებს ორგანიზაციას, არ აყვეს რუსეთს, არ დაადოს ვეტო ნატოს გაფართოებას, ხოლო საქართველო და უკრაინა მიიღოს კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დონბასი, ყირიმი) ნატოს წესდების მე-5 მუხლის ამოქმედების გარეშე.

განვითარდება თუ არა მოვლენები რასმუსენის მოწოდების საფუძველზე, მალე გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, დაძაბულობის დეესკალაცია იანვარში დაგეგმილი ვაშინგტონი-მოსკოვის, ნატო-მოსკოვისა და ეუთო-მოსკოვის დიალოგის შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელია.

საქართველოსთან მიმართებით მოსალოდნელია კრემლის სხვაგვარი ზეწოლაც. საოკუპაციო ზოლიდან ადამიანების გატაცების, ბორდერიზაციის გარდა, კრემლი მოითხოვს გამყოფი ზოლების დადგენას კონფლიქტურ რეგიონებთან. ამას რუსეთში უწოდებენ „სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციას საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის“.

ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტი ბიბილოვი აცხადებს, რომ თბილისთან სასაზღვრო საკითხები პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს.

აპირებს თუ არა კრემლის ზემოქმედებით ბელარუსი ამ რეგიონის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას?

ამ კითხვას ბიბილოვი პირდაპირ არ პასუხობს.

– ჩვენი ქვეყნების საერთო ისტორია, რუსეთთან ერთობა, გახდიან სამხრეთ ოსეთსა და ბელარუსს საერთო ოჯახის ნაწილად. სამხრეთ ოსეთის აღიარება შეუქცევადი პროცესია, როგორც ჩვენი რესპუბლიკის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში, – აცხადებს ბიბილოვი.

ინფორმაცია იმაზე, რომ ბელარუსის პარლამენტი აპირებს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობას, 2021 ნოემბერში ვრცელდებოდა. მინსკში ეს არ დაუდასტურებიათ.

ცხინვალში ამ თემის წამოწევა ნიშნავს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

# ირაკლი კობახიძე: „სააკაშვილზე პარლამენტში კომისიის შექმნას შეიძლება მხარი დავუჭიროთ“

## მიხეილ სარჯველაძეს სხვა აზრი აქვს

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე წინააღმდეგი არაა, რომ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ კომისიის შექმნა, შესაძლოა, კარგიც იყოს, რადგან ის დაადგენს, რომ სააკაშვილის მიმართ „არასათანადო მოპყრობას ადგილი არ ჰქონია“.

– შეიძლება პირადად მე ასეთი კომისიის შექმნის წინააღმდეგი არ ვყოფილიყავი. როდესაც საუბარია სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე, ვიცით, რომ ამას არავითარი საფუძველი არ აქვს. თუ ასეთი კომისია შეიქნება, მხოლოდ და მხოლოდ ის დადგინდება, რომ არასათანადო მოპყრობას ადგილი არ ჰქონია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, დაუჭერს თუ არა მხარს „ქართული ოცნება“ საგამოძიებო კომისიის შექმნას, ამაზე გუნდში იმსჯელებენ.

– ჩემი პირადი პოზიციაა, რომ შეიძლება ეს ცუდიც არ იყოს და, შესაძლოა, ამ ხმების შევსებაზე ვიფიქროთ. ეს კომისია მარტივად დაადგენს არასათანადო მოპყრობის არარსებობას. ამისთვის დრო არის თებერვლამდე, თებერვალში გაიხსნება სესია. მანამდე გვექნება მსჯელობა და მივიღებთ გადაწყვეტილებას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებას, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნის შემთხვევაში პარლამენტში შევლენ, კობახიძე ამბობს, რომ მმართველ გუნდს მათი განცხადებები არ აინტერესებს.

– ჩვენ მათი განცხადებები არ გვაინტერესებს, შეუძლიათ ულტიმატუმები დააყენონ. დაუყენებიათ კიდეც წარსულში, მაგრამ ჩვენ ჩვენი დღის წესრიგი გვაქვს და ამის შესაბამისად ვიმოქმედებთ. საქმისთვის რაც საჭირო იქნება, მხოლოდ და მხოლოდ იმას გავაკეთებთ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

განსხვავებული აზრი აქვს უმრავლესობის წევრს, მიხეილ სარჯველაძეს.

– არ არის სწორი, ყოველ ჯერზე, პარლამენტის საგამოძიებო კომისია იქმნებოდეს, – განაცხადა მან.

დეპუტატის თქმით, უცნაური არაფერია იმაში, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე ოპოზიციის რიგებში კონსულტაციები დაწყებულია, მაგრამ „ყველაზე მნიშვნელოვანია,



რომ საპარლამენტო კონტროლის ისეთი მექანიზმი, როგორიც დროებითი საგამოძიებო კომისიაა, სტანდარტული საგამოძიებო პროცედურების ალტერნატივა არ არის“.

– არ მგონია, სწორი და რელევანტური მექანიზმია არჩეული, რომ როცა ადამიანებს საკითხის შესწავლის და შეფასების სურვილი აქვთ, ამ ფორმით და ამ საშუალებით მოხდეს. დაველოდოთ პროცესებს, რაც საგამოძიებო უწყებებში მიმდინარეობს და როდესაც გარკვეული მონაცემები გვექნება, ამის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა იმისა, ცალკეული საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება-არგამოყენების მიზანშეწონილობაზე ვისაუბროთ, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

სააკაშვილის ადვოკატის გიორგი მშვენიერაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი თვლის, რომ მნიშვნელოვანი იქნება, მის საქმეზე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რომელიც შეისწავლის მის მიმართ „არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტს“.

ადვოკატის თქმით, სააკაშვილი მზად არის, თავად წარდგეს საგამოძიებო კომისიაზე და კომისიის წევრებს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს.

რაც შეეხება ამ საკითხზე ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებებს, პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ხატია დეკანოიძის, თქმით, თუ დაინახავენ, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩანაცვლება შესაძლებელია საგამოძიებო კომისიით, პარლამენტში შევლენ.



# „საქართველოს მთავრობა ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის“

## იან კელის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში, იან კელი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

მისი თქმით, მსგავსი გადაწყვეტილებით საქართველოს ხელისუფლება ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის.

„მესიჯი ნათელია: მარგინალიზებით ან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ყველანაირი კონტროლის გაუქმებით, საქართველოს მთავრობა ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მეგობრები დაეჭვდნენ მთავრობის ევროატლანტიკურ კეთილსინდისიერებაში“ – წერს იან კელი „ტვიტერში“.

პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2022 წლის პირველი მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უქმდება.

სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმებასთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა საქართველოში აშშ-ის საელჩომ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილებით „მმართველმა პარტიამ ძირი გამოუთხარა მთავრობის ანგარიშვალდებულებას“.

# „სალომე ზურაბიშვილმა ვეტოს უფლება უნდა გამოიყენოს“

## არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტს მიმართავენ

არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის გაუქმების თაობაზე კანონპროექტზე ვეტოს დადებისკენ მოუწოდებენ.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების მწვავე კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ, ყოველგვარი დასაბუთების თუ შესაბამისი აქტორების და თავად სახელმწიფო ინსპექტორის ჩართულობის გარეშე, მიიღო არაკონსტიტუციური და ქართული დემოკრატიისთვის უკიდურესად დამაზიანებელი გადაწყვეტილება.

„2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, დაჩქარებული წესით, მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახური მოქმედი ფორმით უქმდება და იქმნება ორი ახალი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პერსონალური მონაცემების დაცვასა და სამართალდამცავთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე. ასევე, მოქმედ სახელმწიფო ინსპექტორს უწყდება უფლებამოსილების ვადა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არჩეული იყო თავად პარლამენტის მიერ 2025 წლამდე.

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების მწვავე კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ, ყოველგვარი დასაბუთების თუ შესაბამისი აქტორების და თავად სახელმწიფო ინსპექტორის ჩართულობის გარეშე, მიიღო არაკონსტიტუციური და ქართული დემოკრატიისთვის უკიდურესად დამაზიანებელი გადაწყვეტილება.

ამავდროულად, მისასალმებელი იყო საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი შეფასება, რომ მისთვის მიუღებელია დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების წინასწარი კონსულტაციების გარეშე ინიცირება და დაჩქარებული წესით განხილვა. შესაბამისად, პრეზიდენტმა მოუწოდა საკანონმდებლო ორგანოს, შეეწყვიტა საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა და ყველასთვის მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი არგუმენტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმომწერი ორ-



განიზაციები, მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს:

გამოიყენოს მის ხელთ არსებული კონსტიტუციური უფლებამოსილება და ვეტო დაადოს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების კანონპროექტი, მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს“ – ნათქვამია განცხადებაში.

# ამირან გამყრელიძე: „ომიკრონის შტამი ინფიცირების ახალ ტალღას იწვევს“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე ამირან გამყრელიძე ამბობს, რომ საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების კიდევ ერთი აღმავალი ტალღა იწყება, რომელიც, მისი თქმით, დიდი ალბათობით, გამოწვეულია ომიკრონის შტამით.



ამირან გამყრელიძის თქმით, საქართველოში ამ დროისთვის 159 ადამიანია ომიკრონით ინფიცირებული და დაავადება მიმდინარეობს მსუბუქად.

– იწყება კიდევ ე.წ. ასეთი აღმავალი ტალღა ინფიცირებისა, რომელიც, დიდი ალბათობით, გამოწვეულია ამ ახალი ომიკრონის შტამით.

მოგახსენებთ შედარებით დეტალურ ანალიზს იმ 159 შემთხვევისა, რაც დილისთვის იყო დადასტურებული, 17%-ში გვქონდა რეინფიცირება, 67% არიან სრულად ვაქცინირებულები. ყველა ეს 159 შემთხვევა მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად.

ვაქცინების რაოდენობა ამ ეტაპზე ქვეყანაში საკმარისია, რომ ყველა ადამიანმა ჩაიტაროს აცრა და გაიკეთოს ბუსტერი, – ამბობს ამირან გამყრელიძე.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 4 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებულია ომიკრონის 159 შემთხვევა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია ამბობს, რომ კლინიკები ომიკრონის გამოწვევებს მომზადებული ხვდებიან.

კორონავირუსის ახალი შტამი, სახელად ომიკრონი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 24 ნოემბერს დადასტურდა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ომიკრონი უკვე 89 ქვეყანაშია გავრცელებული.

# „კორუფციონერთა შავი სია უნდა შევქმნათ“

## რუსთავში სააკაშვილთან ლონდა თოლორაიას წარმომადგენელი მივიდა

გუშინ, 5 იანვარს, რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში გორის სამხედრო ჰოსპიტალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსაკითხად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელი ვასილ კაკაშვილი მივიდა.

მისი განცხადებით, გამოკითხვა ასევე შეეხება სააკაშვილის რუსთავის ციხეში გადაყვანის პროცედურას. ამასთან, უკვე გაგზავნილია შესაბამისი წერილები სამხედრო ჰოსპიტალში არსებული კამერების ჩანაწერების ამოღებასთან დაკავშირებით.

— ადვოკატებმა მომართეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გორის სამხედრო ჰოსპიტალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს ეხება მათ შორის გადმოყვანის პროცედურას. ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით უნდა მოხდეს მისი გამოკითხვა.

გაგზავნილია შესაბამისი წერილები კამერების ჩანაწერებთან დაკავშირებით, — აღნიშნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელმა.

მიხეილ სააკაშვილის პირადმა ექიმმა ნიკოლოზ ყიფშიძემ მედიის საშუალებით მიმართა მიხეილ სააკაშვილს, რომ შიმშილობის დაწყებასთან დაკავშირებით ულტიმატუმის დრო გადადოს.

ამის შესახებ გუშინ, 5 იანვარს, ნიკოლოზ ყიფშიძემ რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, იმედოვნებდა, რომ ციხეში შესვლისა და მისი პაციენტის მონახულების საშუალება ექნებოდა, თუმცა ციხეში არ შეუშვეს.

მისი თქმით, სააკაშვილის მიერ შიმშილობის დაწყების შემთხვევაში, „სცენარი ძალიან ცუდი იქნება“.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ ნახვის საშუალება მოეცათ, იქნებ გადაეფიქრებინა ამ უკიდურესი ფორმის, შიმშილობის დაწყება, მაგრამ არ მოხერხდა. 6 იანვარს, დილით კიდევ



შევეცდები მოვიდე. თუ გვისმენს მიშა, ვეტყოდი, რომ მიშა, კიდევ ცოტა ხანი მოიცადე. ექიმები, ადრე თუ გვიან, შენთან შემოვლენ და თუ შეიძლება, გადადე შენი ულტიმატუმის დღე, — განაცხადა ნიკოლოზ ყიფშიძემ.

მიხეილ სააკაშვილს ორი მოთხოვნა აქვს — მასთან დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფი შევიდეს და კომუნიკაცია სრულყოფილად აღდგეს.

ადვოკატების ინფორმაციით, დამოუკიდებელ ექიმთა ჯგუფს სააკაშვილის მონახულების შესაძლებლობა არ ეძლევა მაშინ, როდესაც ამის მწვავე საჭიროება დგას. ამავდროულად, მათი თქმით, ადვოკატებისა და სააკაშვილის შეხვედრისას კონფიდენციალობა არ არის დაცული.

— თუ 6 იანვრამდე პრობლემები არ იქნება მოგვარებული და პენიტენციური სამსახური გადაწყვეტს, რომ კანონის სრული იგნორირებით გააგრძელოს უფლებების შელახვა, ამ შემთხვევაში სააკაშვილი მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს, — აცხადებენ ადვოკატები.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა შავი სიის შესახებ განმარტება გააკეთა.

„ის მასშტაბი უკანონობის, რომელიც ახლა ხდება, განპირობებულია ძირითადად დაუსჯელობის სინდრომით. მე გთავაზობთ, დავუბრუნდეთ კორუფციონერთა და ადამიანის უფლებათა დამრღვევთა „შავი სიის“ იდეას.

ის ადამიანები, ვინც იარაღი ჩაუდო არჩევნების პერიოდში ყოფილ პოლიციელებს, ვინ მოიპარა დიდი რაოდენობით ხალხის საბიუჯეტო ფული, ვინც გაყალბებით შეკერა კარტოგრაფების საქმე, ვინც მიიღო მონაწილეობა ჩემ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, უნდა შეიყვანონ ამ სიაში.

ჩვენ უნდა შევქმნათ იურისტთა ჯგუფი, რომელიც მათი დანაშაულის შემადგენლობას მოიკვლევს, მტკიცებულებებს მოაგროვებს და ამის შემდეგ ჩვენ ეს საჯაროდ უნდა გამოვაქვეყნოთ, ასევე, უნდა მივმართოთ დასავლეთის საელჩოებს, არ გასცენ მათზე ვიზები და შემოიღონ პერსონალური სანქციები.

ამ ხალხს: მოსამართლეებს, პროკურორებს, თანამდებობის პირებს, ვინც გაძარცვა საქართველო და ვინც ამდენ უსამართლობას ჩადის, მოქალაქეები ქუჩაში უნდა სცნობდნენ და შესაბამისი რეაგირება უნდა ჰქონდეთ, როგორც ქვეყნის დამაქცევლებსა და თითოეული ქართველის კეთილდღეობის მტერზე.

ჟურნალისტებს უკვე საკმარისი მასალები აქვთ შეგროვებული. მაგალითად, იმაზე, როგორ აუხსნელად გამდიდრდნენ ჩემი საქმეების პროკურორები. დადგა დრო, რომ ისინი კი არ გვადანაშაულებდნენ, არამედ ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, შევხედოთ მათ თვალებში. შევადგინოთ სპეციალური საიტი და დავწეროთ მათი საბრალდებო დასკვნა“ — დაწერა ფეისბუქში სააკაშვილმა.

# გარდაცვლილი ორსულის, სესილი ბუბუტეიშვილის, ოჯახი ექიმების დასჯას ითხოვს

19 წლის სესილი ბუბუტეიშვილის ოჯახი იმ კლინიკის ექიმების უმკაცრესად დასჯას ითხოვს, სადაც ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა.

მშობიარე კლინიკაში 15 დეკემბერს ზუგდიდიდან შეიყვანეს. მედიკოსებმა საკეისრო კვეთისთვის მოამზადეს, თუმცა საოპერაციოში შესული ქალი კომაში ჩავარდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ოჯახი დარწმუნებულია, რომ მშობიარის გარდაცვალება ანესთეზიის ზედოზირებას ან ვადაგასული მედიკამენტის გამოყენებას მოჰყვა.

— სესილის ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია, იყო სრულიად ჯანმრთელი. ქუთაისში იმიტომ წავიყვანეთ, რომ, ექოსკოპიური დასკვნიდან გამომდინარე, ბავშვი იყო გარდიგარდმო. ოპერაციის პროცესში გაჩერდა გული, რამაც გამოიწვია შემდეგ ტვინის შეშუპება, რამაც შემდეგ გამოიწვია უკვე ფატალური შედეგი.

ზუსტად არ იციან და არც მე ვიცი, რა მოხდა იმ დროს, მაგრამ მე გავდივარ კონსულტაციებს კომპეტენტურ ადამიანებთან და მაინც ყველა გზა, როგორც მეუბნებიან, მიდის ანესთეზიისკენ. ან არის გადაჭარბებული დოზა, ან კიდევ უხარისხო მედიკამენტი, — განაცხადა გარდაცვლილის დედამ.

მომხდარზე კომენტარს აკეთებს იმ კლინიკის ექიმი, სადაც მშობიარეს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა.

ექიმის განმარტებით, პაციენტს ანესთეზიის დროს გული გაუჩერდა, 15-დღიანი მკურნალობის მიუხედავად კი, მშობიარე ქალის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

— გაკეთდა სპინალური ანესთეზია, ჩატარდა საკეისრო კვეთა ჩვენებით. იყო გარდიგარდმო მდებარეობა ნაყოფის და მესამე ხარისხის სიმსუქნე. ანესთეზიის დროს გულის გაჩერება განვითარდა. რეანიმაციული ღონისძიებების შედეგად აღდგა გულის რითმი, გადაყვანილ იქნა პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში. 15-დღიანი მკურნალობის შედეგად, სამწუხაროდ, ვერ მოხდა პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა, — განაცხადა ექიმმა გიორგი ხუციშვილმა.

საკითხს ამ დროისთვის ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო სწავლობს.

თუკი მომხდარში სისხლის სამართლებრივი დანაშაული გამოიკვეთება, საქმეში საგამოძიებო უწყებები ჩაერთვებიან.

# გლდანის ციხეში 5 პატიმარი მე-12 დღეა, შიმშილობს



პატიმრების პროტესტი გლდანის ციხეში — უკვე 12 დღეა, 5 მსჯავრდებული პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს.

ისინი ციხის ადმინისტრაციას არაადამიანურ მოპყრობაში, ძალადობასა და ზეწოლაში ადანაშაულებენ.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, პატიმრებზე ძალადობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ პროკურატურამ წარდგენილი ბრალდება ვერ დაუმტკიცა.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, მოშიმშილე პატიმრები ამ დროისათვის დეესკალაციის ოთახებში არიან გადაყვანილები.

პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობს ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატიც.

— ვინაიდან ისინი არიან უდანაშაულოები და ბრალს ვერ უმტკიცებენ, პროკურატურამ, ჩვენი აზრით, გადაწყვიტა, რომ მათი პროვოცირება მოხდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. თანამშრომლების მხრიდან ხდება მათზე ზეწოლა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, რის გამოც მათ გადაწყვიტეს, რომ დაიწყონ შიმშილობა.

მე-12 დღეა, რაც შიმშილობენ. არ ეწევათ საერთოდ სამედიცინო მომსახურება. ესენი არიან მხოლოდ და მხოლოდ წყალზე. წლის დალევის საშუალებასაც არ აძლევენ, — ამბობს უფლებადამცველი.

# თემურ წიკლაურის საფლავი დააზიანეს

## „რა ხალხი ხართ, სად იზრდებით?!“



ანსამბლ „ივერიას“ სოლისტის თემურ წიკლაურის საფლავი უცნობმა პირებმა დააზიანეს.

კერძოდ, დაზიანებულია მომღერლის ქანდაკება.

როგორც ნინა მარჯი ფეისბუქში წერს, სავარაუდოდ, დამნაშავეებს ბრინჯაოს ქანდაკება ეგონათ და მოპარვას აპირებდნენ.

„როგორც ჩანს, ბრინჯაო ეგონათ და მის (ქანდაკების) ხელებში არსებული დედამიწის ბურთულა მოუგლეჯიათ!

მერე ნახეს, რომ ბრინჯაო არ იყო და იქვე გადააგდეს. ასევე დაგლეჯილი იყო ყვავილების გვირგვინი. გაიგეთ, არაა ეს ფერადი ლითონი, არის თაბაშირით გაკეთებული და ხელი აღარ ახლოთ, ვანდალებო! რა ხალხი ხართ, სად იზრდებით, რა აზროვნება და გონება გაქვთ ასეთი სამარცხვინო? ან კი გაქვთ საერთოდ?“ — წერია პოსტში.

თემურ წიკლაური გასულ წელს კორონავირუსის გართულების შედეგად გარდაიცვალა.

# შიდა ქართლში 15 წლის მოზარდები დაინიშნენ

## გოგონას ბაბუა სკოლის დირექტორია

შიდა ქართლში სკოლის მოსწავლეები დაინიშნენ, რომლებიც 15 წლისები არიან.

დანიშნული გოგონას ბაბუა შაჰარა ისმაილოვი ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორია.

ნიშნობის ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ფაქტმა ჟურნალისტების დაინტერესება გამოიწვია, შაჰარა ისმაილოვმა განაცხადა, რომ ეს არ იყო ნიშნობა და მისმა შვილიშვილმა ბეჭედი უბრალოდ საჩუქრად მიიღო:

— ნიშნობა იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი თხოვდება. დიდი არაფერი მომხდარა, კაცო. ბავშვს დაბადების დღე ჰქონდა და საჩუქარი მოუტანეს ბავშვს, მეტი არაფერი, — ამბობს არასრულწლოვნის ბაბუა.

„კურიერი“ მეცხრეკლასელი გოგონას მამას ესაუბრა.

ზაჰირ ალიოღლი ამბობს, რომ მას 7 წელია, საკუთარ შვილთან კომუნიკაცია არ ჰქონია, მას შემდეგ, რაც მეუღლეს გაშორდა. მოზარდი გოგონას მამა ამბობს, რომ მისი ქალიშვილი ყოფილ მეუღლესთან იზრდება.

თუმცა, ზაჰირ ალიოღლის თქმით, თუ ეს ნიშნობა იქნებოდა, მას ყოფილი მეუღლე ფაქტის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა.

— ნიშნობა რომ ყოფილიყო, მე აუცილებლად დამიძახებდნენ. წესით და კანონით არის, რომ მამა და დედა უნდა იყოს, — ამბობს ზაჰირ ალიოღლი.

გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით შეფასებებს აკეთებენ გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

ისინი ამბობენ, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო ეჭვს არ იწვევს, რომ ეს იყო ნიშნობა და არა — დაბადების დღე.

არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელის, ანა აბაშიძის თქმით, საქმეში შესაძლოა რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაულიც იკვეთებოდეს.

— შესაძლებელია, რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაულზე გვქონდეს ეჭვი და გამოძიებამ უნდა გვითხრას, მოხდა თუ არა რომელიმე მათგანი. მათ შორის, ხომ არ არიან ბავშვები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. აბსოლუტურად სხვა დანაშაულია ქორწინების იძულება. შესაძლებელია, ჩადენილია სხვა დანაშაული, რომელიც 16 წელს მიუღწეველთან კავშირს ნიშნავს და ა.შ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ამაზე პასუხები სახელმწიფომ უნდა გაგვცეს, — აცხადებს ანა აბაშიძე.

ფაქტს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში გამოეხმაურნენ.

გავრცელებულია განცხადებაც, სადაც ნათქვამია, რომ საქმეზე მუშაობის პროცესში უკვე ჩაერთო სოციალური მუშაკი და შეფასდა არასრულწლოვნის ფსიქოემოციური მდგომარეობაც.

მოზარდი ბიოლოგიურ ოჯახში რჩება.

# ბათუმში კორპუსის 2 სადარბაზო მცხოვრებლებმა დატოვეს

ბათუმში, ჯავახიშვილის 47 ნომერში, 5 სართულიანი კორპუსის 2 სადარბაზო მცხოვრებლებმა დატოვეს — მიზეზი ერთ-ერთ მზიდ სვეტზე ბზარის გაჩენა გახდა.

მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მოქალაქეებს საცხოვრებლის დატოვების შესახებ 4 იანვარს გვიან ღამით შეატყობინეს.

მუნიციპალური სერვისების სამსახურის ინფორმაციით, შენობაზე უკვე დანიშნულია ექსპერტიზა.

დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი, არის თუ არა კორპუსი უსაფრთხო და რა სამუშაოების ჩატარებაა საჭირო.

ვიდრე ექსპერტიზა მუშაობას დაასრულებს, აღნიშნული ოჯახების დროებით საცხოვრებელს მერია უზრუნველყოფს.

# საფრანგეთში სამმა ქართველმა ფრანგი მილიონერის გაძარცვა სცადა

საფრანგეთში, მეცერალის დასახლებაში, 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, სამმა ქართველმა ფრანგი მილიონერის აგარაკის გაქურდვა სცადა.

ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს.

მას შემდეგ, რაც მეზობლებმა ფრანგი მილიონერის სახლის წინ ქართველები საეჭვო ვითარებაში შენიშნეს, მათ ჟანდარმებს მიმართეს.

როგორც ფრანგული გამოცემა წერს, ქურდობის ბრალდებით საფრანგეთში ლეგალურად მცხოვრები საქართველოს 3 მოქალაქეა დაკავებული.

მათივე ცნობით, დაკავებულები, პრეფექტურის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული დაკავების იზოლატორში მოათავსეს.

# ოკუპანტებმა ცხინვალთან საქართველოს მოქალაქე უკანონოდ დააკავეს

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა, ოკუპირებული ცხინვალის მიმდებარედ, საქართველოს მოქალაქე უკანონოდ დააკავეს.

ინფორმაციას სუსი ავრცელებს.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურებულია „ცხელი ხაზი“. ინფორმაცია მყისიერად მიეწოდა ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს უკანონოდ დაკავებული მოქალაქის გასათავისუფლებლად.

ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალას. უკანონო დაკავებების მავნე პრაქტიკა მნიშვნელოვნად აუარესებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და საფრთხეს უქმნის რეგიონში არსებულ სტაბილურობას“ — აღნიშნულია სუსის განცხადებაში.

# ყაზახეთის მთავრობა გადადგა

## ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

ყაზახეთში მთავრობა გადადგა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა ქვეყანაში საწვავის ფასის გამო დაწყებული საპროტესტო აქციების შემდეგ მთავრობის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა.



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, თოყაევმა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ალიხან სმილოვი დაასახელა.

მანამდე ყაზახეთის პრეზიდენტმა ცენტრალური აზიის უდიდეს ქალაქ ალმათში და დასავლეთ მანგისტაუს პროვინციაში ორკვირიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

საგანგებო მდგომარეობა საპროტესტო აქციების გამწვავებას მოჰყვა.

პრეზიდენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე კომენდანტის საათი დაწესდა, გარდა ამისა, აიკრძალა მასობრივი შეკრებები.

– მთავრობისა და სამხედრო ოფისებზე თავდასხმის მოწოდებები აბსოლუტურად უკანონოა, – აღნიშნა თოყაევმა რამდენიმე საათით ადრე ვიდეომიმართვაში.

ამასთან, დემონსტრანტების მერის ოფისში შეჭრის თავიდან ასაცილებლად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

მოგვიანებით თოყაევმა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გაავრცელა.

მისი თქმით, 5 იანვრიდან რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს თავად გაუძღვება.

პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას ასევე განაცხადა, რომ დემონსტრაციის დროს რამდენიმე პოლიციელი დაიღუპა, ათობით კი დაიჭრა.

– მე ხალხთან ვრჩები და ახალ შემოთავაზებას უახლოეს მომავალში გაგაცნობთ. რაც არ უნდა მოხდეს, მე ქვეყნიდან არ წავალ და დედაქალაქში დავრჩები. მე ჩემს პოზიციაზე ვაპირებ დარჩენას და ხალხის მხარდაჭერის იმედი მაქვს, – განაცხადა მან.

პრეზიდენტმა ასევე პირობა დადო, რომ სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც 4 იანვარს განვითარებულ მოვლენებს შეისწავლის.

მანამდე აქტივისტებმა ალმათის ტელევიზიისა და რადიო კომპანია „მირის“ ოფისი დაარბიეს, კომპანიის კუთვნილი აპარატურა კი გაანადგურეს.

„მირში“ შეჭრას მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან კომპანიის თანამშრომლებმა შენობის დატოვება დროულად მოასწრეს.

ქალაქ ალმათის კომენდანტის, ქანათ თაიმერდენოვის განცხადებით, საპროტესტო აქციების ფონზე ქალაქში ძარცვისა და მაროდიორობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა.

მისი თქმით, აქტივისტებმა 120-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება დაწვეს.

მათ შორის 33 პოლიციის, სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანები იყო.

# მაკრონი: „არავაქცინირებულებს მაქსიმალურ პრობლემებს შევუქმნით“



საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი არავაქცინირებული ადამიანებისთვის ერთგვარ გაფრთხილებას აგზავნის.

– მინდა, რომ დისკომფორტი შევუქმნა მათ და ჩვენ ამის კეთებას განვაგრძობთ ბოლომდე, – აღნიშნა პრეზიდენტმა ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემასთან ინტერვიუში.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ის ვაქცინაციას არავის დააძალებს, მას სურს, რომ ადამიანების აცრისკენ წახალისება მათი ყოველდღიური აქტივობების შეზღუდვის ხარჯზე მოხდეს.

– არავაქცინირებულ ადამიანებს საპყრობილეში არ გავგზავნით. თუმცა, მათ უნდა ვუთხრათ, რომ 15 იანვრიდან რესტორანში წასვლას ველარ შეძლებენ, ვერც ყავის დასალევად წავლენ, ვერ წავლენ კინოსა და თეატრში, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პოლიტიკური ოპონენტების შეფასებით, უხეში ენა, რომელიც ემანუელ მაკრონმა გამოიყენა, პრეზიდენტის შესაფერისი არ იყო.

პრეზიდენტის კომენტარი პარლამენტში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ კოვიდ საშვებთან დაკავშირებული კანონპროექტის გადადებას მოჰყვა.

კანონპროექტის მიხედვით, არავაქცინირებული ადამიანებისთვის უამრავი აქტივობა უნდა შეზღუდულიყო. მისი დამტკიცება კენჭისყრით ამ კვირაში იგეგმებოდა, თუმცა აღნიშნულმა ინიციატივამ ვაქცინაციის მოწინააღმდეგეებში უკმაყოფილება გამოიწვია. გარდა ამისა, რამდენიმე ფრანგმა პარლამენტარმა აღნიშნა, რომ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით სიკვდილის მუქარის შემცველი შეტყობინებები მიიღეს.

# ფინეთი ნატოში შესვლას არ გამორიცხავს




ფინეთის პრეზიდენტმა ნიინისტემ თავისი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება არ გამორიცხა. მიზეზი რუსეთის აგრესიული პოლიტიკაა.

– ამ ფონზე ნატოში გაწევრიანება ფინეთისთვის ერთადერთი ხსნაა, – განაცხადა ნიინისტემ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კრისტიან ერიქსენი: „უნდა დავამტკიცო, რომ გულის გაჩერება ერთჯერადი იყო“



კრისტიან ერიქსენმა, რომლის ინციდენტმა 2021 წლის ივნისში მთელი მსოფლიო შეძრა, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის და კარიერული მომავლის შესახებ ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის 12 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შეხვედრაში, ფინეთის წინააღმდეგ, 29 წლის ნახევარმცველს გული გაუჩერდა და მას სიცოცხლის გადასარჩენად კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის იმპლანტანტი ჩაუდგეს.

ერიქსენმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ იტალიაში სპეციალური სამედიცინო პროტოკოლი მოქმედებს, რომლის თანახმადაც პირებს, რომლებსაც კარდიოსტიმულატორი უდგათ, ეკრძალებათ სპორტის კონტაქტური სახეობებით დაკავება. შედეგად, ფეხბურთელს მილანის ინტერის დატოვება მოუწია.

ჯერჯერობით უცნობია, სად და როდის გააგრძელებს კარიერას დანიელი ნახევარმცველი, მანამდე კი, შვეიცარიული დაბალი ლიგის გუნდში ვარჯიშობს და ფორმის აღდგენას ცდილობს.

კრისტიან ერიქსენი:

– ჩემი მიზანია ყატარში მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში. თამაში მინდა. ეს იყო ჩემი ფიქრები მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს არის მიზანი, ოცნება. მიმიწვევენ თუ არა ნაკრებში, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ჩემი ოცნებაა დაბრუნება.

დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია დავბრუნდე, რადგან განსხვავებულად არ ვგრძნობ თავს. ფიზიკურად, ტოპ ფორმაში დავბრუნდები. ეს იყო ჩემი მიზანი. ცოტა დრო რჩება, ამიტომ იქამდე ვაპირებ ფეხბურთის თამაშს, რათა დავამტკიცო, რომ იმავე დონეზე დავბრუნდები.

ჩემი ოცნებაა ისევ შევუერთდე ეროვნულ გუნდს და კვლავ ვითამაშო „პარკენ არენაზე“ და დავამტკიცო, რომ გულის გაჩერება ერთჯერადი იყო და ეს აღარ განმეორდება.

მინდა დავამტკიცო, რომ გადავედი და ისევ შემიძლია ნაკრებში თამაში. მწვრთნელის გადასაწყვეტია ჩემი დონის შეფასება, მაგრამ ჩემი გული არ არის დაბრკოლება.

საოცარი იყო ის მხარდაჭერა, რომელიც ამდენი ადამიანისგან ვიგრძენი. ისინი ყვავილებს მიგზავნიდნენ. საავადმყოფოში ამბობდნენ, რომ სულ უფრო მეტ ყვავილს ვიღებდი. უცნაური იყო, რადგან არ ველოდი, რომ ხალხი ყვავილებს გამოგზავნიდა, რადგან მხოლოდ 5 წუთის განმავლობაში მოვკვდი.

ეს იყო საკმაოდ არაჩვეულებრივი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო და ჩემთვის დიდი დახმარება აღმოჩნდა ამ საუკეთესო სურვილების მიღება – ხალხი ისევ მწერს.

მადლობა გადავუხადე იმ ადამიანებს, რომლებსაც პირადად შევხვდი. მე პირადად მადლობა გადავუხადე ექიმებს, ჩემს თანაგუნდელებს და მათ ოჯახებს. მაგრამ ყველა გულშემატკივარს, ვინც ათასობით წერილი, ელ-წერილი და ყვავილი გამომიგზავნა, ან რომლებიც ჩემთან მოვიდნენ ქუჩაში – როგორც იტალიაში, ასევე დანიაში. საჯაროდ მადლობას ვუხდი მათ მხარდაჭერისთვის, რომელიც მივიღე მთელ მსოფლიოში და რომელიც ძალიან დამეხმარა.

# საქართველოს ჩოგბურთელებმა ჯგუფი მოგებით დახურეს



ატპ თასზე საქართველოს საჩოგბურთო ნაკრებმა კარი გაიჯახუნა და ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩის ბოლო შეხვედრა მოიგო. ეს ალექსანდრე მეტრეველისა და ალექსანდრე ბაკშის წყვილმა გააკეთა, რომლებმაც სტეფანოს ციციპასისა და მიხეილ პერვოლარაკის დუეტს მოუგეს – 4:6; 6:3; 16:14.

თუმცა, საერთო ჯამში, ჩვენმა გუნდმა მაინც წააგო: ერთეულთა თანრიგში პირველები კორტზე ალექსანდრე მეტრეველი და მიხეილ პერვოლარაკი გავიდნენ. გამარჯვება ბერძენს დარჩა – 6:3, 6:2.

შემდეგ საქმეში ნიკოლოზ ბასილაშვილი ვიხილეთ, მაგრამ მცირე დროით. საქართველოს პირველ ჩოგანს დეკემბერში კორონავირუსი ჰქონდა, რის შემდეგაც ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა. ბასილაშვილმა პოლონეთთან მატჩი საერთოდ გამოტოვა, ხოლო ბერძენ სტეფანოს ციციპასს ჯანმრთელობის პრობლემების გამო პირველივე სეტში დანებდა, როდესაც 1:4-ს აგებდა. საბოლოოდ, ბერძნებმა 2:1 მოიგეს, ხოლო საქართველოს ნაკრებმა სამივე შეხვედრა დათმო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მკერდის გადიდება მამაკაცებშიც პოპულარული გახდა



ესთეტიკური პლასტიკური ქირურგიის საერთაშორისო ასოციაციამ გაარკვია, რომ 2020 წელს მამაკაცები მკერდის გადიდების პლასტიკური ოპერაციებით იყვნენ გატაცებულები. ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების ყოველწლიური გლობალური კვლევის შედეგები კომპანიის გვერდზე გამოქვეყნდა.

სულ 2020 წელს 22.568 მკერდის გადიდების ოპერაცია იქნა გაკეთებული მამაკაცების მიერ, რამაც მთელ მსოფლიოში ანალოგიური ოპერაციების 1,4 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს 2171 მამაკაცს მკერდის იმპლანტები ამოუღეს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ერთ წელიწადში, საერთო ჯამში, 10,1 მილიონი ქირურგიული და 14,4 მილიონი არაქირურგიული პროცედურა იქნა ჩატარებული. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო მკერდის გადიდება, ლიპოსაქცია, ყვრიმალების პლასტიკა, რინოპლასტიკა, მუცლის კანის დაჭიმვა.

ამასთან, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობით, პირველ ადგილზე აშშ აღმოჩნდა. მას მოყვებიან ბრაზილია, გერმანია, თურქეთი, მექსიკა, არგენტინა, იტალია, რუსეთი და სხვა ქვეყნები. ყვრიმალების რინოპლასტიკასა და ეპილაციაში ლიდერობა არავის დაუთმო იაპონიამ, ხოლო რინოპლასტიკაში ბრაზილიამ.

# ადვოკატმა სამსახური მიატოვა და ეროტიკული ფოტოების გაყიდვით გამდიდრდა



ბრიტანეთის იურიდიული აკადემიის კურსდამთავრებულმა უარი თქვა სპეციალობით მუშაობაზე სოციალურ ქსელებში საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვის გამო და გამდიდრდა.

კარიერის მიტოვების შემდეგ 24 წლის ადვოკატმა ალავ ჰაფმა გადაწყვიტა სპეციალურ პლატფორმაზე დარეგისტრირებულიყო, რომლის მომხმარებლები კონტენტთან წვდომას გარკვეული ანაზღაურების ფასად იღებენ.

– სურათებს ვიღებ საცვლებში გამოწყობილი და მომწონს ის, რასაც ვაკეთებ. თავდაპირველად ეს ჩემი ჰობი იყო და არა შემოსავლის მიღების საშუალება. ყველა ჩემი ფოტოსურათი და ვიდეო ფანებისთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო, – განმარტა გოგონამ და აღიარა, რომ მისი შემოსავლის წყაროდ ქცევისკენ ინტერნეტ-მომხმარებლების დადებითმა გამოხმაურებებმა უბიძგა.

გოგონას თქმით, ახლა ის წელიწადში 60 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტს გამოიმუშავებს და ასევე, ასეთი სამსახური უფრო მეტი მოგზაურობის და ოჯახთან და მეგობრებთან ბევრი დროის გატარების საშუალებას აძლევს.

# კიმ კარდაშიანის ყოფილი მენეჯერი მანქანის საბარგულში აღმოაჩინეს



მომღერალ ნიკი მინაჟის და ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანის ყოფილი მენეჯერი ანჯელა კუკავსკი მისი შეყვარებულის ავტომობილის საბარგულში მკვდარი იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მკვლელობა 22 დეკემბერს მოხდა. ლოს-ანჯელესის პოლიციამ 49 წლის ეჭვმიტანილი ჯეისონ ბარკერი დააპატიმრა. მას ბრალი ორ მძიმე დანაშაულში ედება, განზრახ მკვლელობასა და წამებაში. მას სასამართლოს წინაშე წარდგომა 12 იანვარს მოუწევს.

პოლიციის მონაცემებით, ბარკერმა კუკავსკი მათ საერთო სახლში მოკლა, შემდეგ ცხედარი ავტომობილის საბარგულში მოათავსა და გაემგზავრა სიმი-ველიში, სადაც ცხედარი სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს. ვარსკვლავების ყოფილი მენეჯერის გარდაცვალების მიზეზი თავზე მიყენებული დაზიანებები და გაგუდვა გახდა. ზოგიერთი მონაცემით, მკვლელობისთვის გამოყენებული იქნა დანა და ცეცხლსასროლი იარაღი.

– ანჯელა მართლაც საუკეთესო იყო. ის ყოველ ჩვენგანზე ზრუნავდა და შეუძლებელს აკეთებდა. ის ძალიან დაგვაკლდება და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს და ახლობლებს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კარდაშიან-ჯენერების ოჯახის წარმომადგენელმა.

# მამაკაცს ცურვის დროს ტრუსი შემოადნა



ზღვაში ბანაობის დროს მამაკაცი სრულიად შიშველი აღმოჩნდა ნათესავის ხუმრობის გამო და სოციალურ ქსელში პოპულარული გახდა.

ტიკტოკის მომხმარებელმა დარა რობერტსმა სოციალურ ქსელში განათავსა ვიდეორგოლი, რომელშიც აჩვენა, თუ როგორ გაამასხარავა თავისივე ძმა სეტი. გოგონას თქმით, მან ძმას უჩვეულო საცურაო ტრუსი უყიდა პლაჟზე ოჯახთან ერთად დასასვენებლად.

შემდეგ მან გადაიღო მომენტი, როდესაც სეტი და კიდევ სამი მამაკაცი წყალში გადაეშვნენ და იქ ბურთის თამაში გააჩაღეს. მალე დარას ძმამ აღმოაჩინა, რომ მისი საცურაო ტრუსი ერთიანად დამდნარი იყო და სიცილი აუვარდა.

– ბიჭებო, შიშველი ვარ, ამიტომ წყლიდან მანამდე არ ამოვალ, სანამ პლაჟი ხალხისგან ერთიანად არ დაიცლება, – წარმოსთქვა მან.

საბოლოოდ მან მიაღწია იმას, რომ ოჯახის წევრებმა ახალი საცურაო ტრუსი უყიდეს და ადგილზე მიუტანეს. მხოლოდ ამის შემდეგ ამოვიდა ის წყლიდან.

# ესპანეთის პოლიციამ ორგიის მოწყობისთვის 70 ადამიანი დააკავა

ესპანეთის პოლიციამ 70 პიროვნება დააკავა, მათ შორის ამერიკელი ტურისტებიც და ესპანელი მეძავები, ახალი წლის აღსანიშნავად მოწყობილი არალეგალური ორგიის გამართვისთვის.

ამერიკელი ტურისტების ჯგუფმა კერძო წვეულების მოსაწყობად სახლი იქირავა და მეძავები გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ დაქირავებული სახლის მფლობელი საქმის კურსში იყო და იცოდა, თუ რის გამართვას აპირებდნენ დამქირავებლები. კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით ესპანეთში დაწესებულია შეზღუდვები დიდი რაოდენობით ადამიანების თავშეყრაზე, ამიტომ წვეულება 70 ადამიანის მონაწილეობით უკანონობას წარმოადგენდა.

პოლიციის მონაცემებით, მათ არალეგალური წვეულება სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს. ორი ამერიკელი კერძო სახლში სხვებზე გვიან მივიდა. სავარაუდოდ, ისინი მთვრალები იყვნენ, სახლი აერიათ და მეზობელთან შეჭრას ცდილობდნენ. მეზობელმა კი პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ ორი უცნობი პიროვნება მათ სახლში შეჭრას ცდილობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# არასაფეხბურთო 2021 წელი



2021 წელი დასრულდა, რომელიც ქართული ფეხბურთისთვის არცთუ სახარბიელო გამოდგა.

საქართველოს ნაკრებს ვილი სანიოლის სახით ახალი მწვრთნელი ჰყავდა. ითამაშა რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩი, მაგრამ მთავარ კონკურენტებთან უშუალოდ შეხვედრები წააგო.

ყველა წაგებას საკუთარი მიზეზი აქვს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ექსპერიმენტების დრო ნაკლებად არის. 2021 წელს საქართველოს ნაკრებში დებიუტი 14 ფეხბურთელს ჰქონდა, რაც ნამდვილად იშვიათობაა. უფრო საკვირველი ის არის, რომ მათ ზუსტად ექსპერიმენტებისთვის იყენებდნენ და მუსიე სანიოლი ხანდახან ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, ყველა გაოცებული დაგვტოვა.

წლის საუკეთესო მატჩი უდავოდ ბათუმში შვედეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩავატარეთ. სკანდინავიელებთან დაპირისპირება იყო ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც თამაშის ხარისხიც და შედეგიც გვაკმაყოფილებდა. შვედებთან გამარჯვებაში დიდი წვლილი ქომაგებმაც შეიტანეს, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს დაუშვეს სტადიონზე. კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა თუ რა საჭიროა გულშემატკივრები ტრიბუნებზე.

ყველაზე მეტად გული დაგვწყვიტა კოსოვოსთან (0:1) და საბერძნეთთან (0:2) შინ წაგებულმა მატჩებმა. კოსოვოსთან საერთოდ ვიყავით თუ არა მოედანზე, გასარკვევია.

მოკლედ, სანაკრებო წელი ისევ ჩავაგდეთ, ვერ გაამართლა სანიოლმა. წააგო ზუსტად ის მატჩები, რომელიც უნდა მოგვეგო.

სერიოზული პრობლემები გვაქვს ევროტურნირებზე, რომელიც საწყისი ეტაპის შემდეგ ქართული გუნდების გარეშე მიმდინარეობს. 2021 წელს ერთი ქართული გუნდიც ვერ მოხვდა თუნდაც კონფერენს ლიგის ფლეი ოფში. აღარაფერს ვამბობთ, ჯგუფურ ეტაპზე. ფლეი ოფთან ყველაზე ახლოს ზღვისპირული გუნდი იყო, მაგრამ აჭარლებისთვის თურქული სივასპორი გადაულახავი ბარიერი გამოდგა. გაგრამ იბრძოლა, მაგრამ პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა ევროპულ ფეხბურთს. ასევე, პირველივე ეტაპზე დაასრულა ასპარეზობა გორის დილამაც, ხოლო თბილისის დინამო ჯერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს გამოეთიშა, შემდეგ კონფერენს ლიგას. ამასთან ისე, რომ თამაში არ მოუგია.

გადავინაცვლოთ ეროვნულ ჩემპიონატში, სადაც ისტორიაში პირველად ბათუმის დინამო საქართველოს პირველობის გამარჯვებული გახდა. 2021 წელსაც ბოლო წლების ტრადიცია გრძელდებოდა და მთავარი ფავორიტები კვლავ დინამოები იყვნენ – ბათუმისა და თბილისის. საბოლოოდ, გია გეგუჩაძის გუნდმა მეტოქეს აჯობა და ოქროს მედლები დამსახურებულად აილო.

ცხადია, კვლავ პრობლემად დარჩა მსაჯობა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვპირდებიან, რომ 2022 წელს ჩვენთანაც იქნება ვარი და მსაჯების შეცდომები მინიმუმამდე დავა. თუმცა, მანამდე ბევრი გუნდი უსამართლოდ დაისაჯა.

თუმცა იყო ბევრი საინტერესო თამაში, ლამაზი მომენტები და რამდენიმე გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელი.

ეროვნული ლიგა სამტრედიამ და ქობულეთის შუქურამ დატოვეს, უძლიერესთა რიგებში ბოლნისის სიონი და გაგრა აღზევდნენ. ბოლნისურმა კლუბმა ეროვნული ლიგა 2 დამაჯერებლად მოიგო, გაგრამ კი, ფლეი აუტში აჯობა შუქურას და წლების შემდეგ ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა. იგივეს გაკეთება შეეძლო მარტვილის მერანსაც, მაგრამ ფლეი აუტში ქუთაისის ტორპედოსთან წააგო.

ისტორიაში მეორედ საქართველოს თასი საბურთალომ მოიგო. ლევან კორღალიძემ, რომელიც გუნდში დაახლოებით 1 თვის დაბრუნებული იყო, შეგირდები მშვენივრად მოამზადა და ფინალში სამგურალს 1:0 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქელებს ნახევარფინალიც საკმაოდ მძიმე მატჩი ჰქონდათ, სადაც ბათუმის დინამო 2:1 დაამარცხეს.

რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს საკლუბო დონეზე მართლაც კარგი წელი ჰქონდა. პერიოდული ჩავარდნების მიუხედავად, მაინც გამოსარჩევია ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც 2021 წლის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად დაასახელეს, ასევე გამორჩეული იყო საბა ლობჟანიძე, რომლისგანაც თურქეთში ხშირად ვხედავთ გოლებს თუ საგოლე პასებს. ანორთოსისმა 2021 წელს კვიპროსის თასი მოიგო და ამაში დიდი წვლილი თემურ ქეცბაიასთან ერთად გიორგი ლორიამ, ბუბა დაუშვილმა, თორნიკე ოქრიაშვილმა და გიორგი ქვილითაიამ შეიტანეს, კარგად მოერგო ურალს ზურიკო დავითაშვილი. კვლავ გამორჩეულები არიან ჯაბა კანკავა და გურამ კაშია, რომლებიც ვლადიმირ ვაისის სლოვანში თამაშობენ, გრაცის შტურმის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია ოთარ კიტეიშვილი, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და მის დაბრუნებას გაზაფხულამდე ველოდებით.

2021 წელს რამდენიმე გამონათების გარდა ბევრი არაფერი სასიკეთო სიახლე არ გვინახავს. როგორც ყოველთვის, 2022 წელსაც მომავლის იმედითა და ოპტიმიზმით ველოდებით...

# სტანისლავ ბელენკი: „თბილისის დინამოს დიდი მიზნები აქვს“




ახალი სეზონის წინ თბილისის დინამომ უკრაინელი ლეგიონერი სტანისლავ ბელენკი დაიმატა. 23 წლის ფორვარდი გასულ სეზონში ბელარუსის ჩემპიონატში ასპარეზობდა, სადაც იქაური დინამოს, ოღონდ ბრესტისას იცავდა.

ბელენკმა 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 13 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბელენკის უკრაინის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც უთამაშია.

ახლა უკვე ქართული დინამოს ფეხბურთელთან ინტერვიუ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა.

***– საქართველოში თამაში რატომ გადაწყვიტეთ?***

– დამიკავშირდა თბილისის დინამოს სპორტული დირექტორი ალექსანდრე რეხვიაშვილი. მითხრა კლუბისა და მისი ამბიციების თაობაზე. ჩამოვედი, ვნახე საკლუბო ინფრასტრუქტურა, ადგილზე გავეცანი ყველაფერს, მომეწონა და შეთავაზებას დავთანხმდი. პირველი, რის გამოც მივიღე ეს გადაწყვეტილება, კლუბის ამბიციებია. იყო წინადადებები უკრაინიდანაც, მაგრამ ახლა დაკონკრეტება არ მინდა. ჩემი გადაწყვეტილებაა, რომ ძალა მოვსინჯო ევროპაში. უკრაინულ ფეხბურთში რაღაცები არ გამომდიოდა.

***– რატომ დატოვეთ ბრესტის დინამო? კლუბის ხელმძღვანელობას თქვენთან რაიმე დავალიანება თუ დარჩა?***

– კი, არის დავალიანება, მაგრამ გვპირდებიან, რომ გაგვისტუმრებენ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. ისე კი, შემიძლია ვთქვა, რომ ბელარუსს კარგი ჩემპიონატი აქვს.

***– რით განსხვავდება საქართველო ბელარუსისა და უკრაინისაგან?***

– პირველ რიგში, ეს არის კლიმატი. ახლა აქ სითბოა.

***– ადგილობრივი სამზარეულო თუ დააგემოვნეთ?***

– მე ვეგეტარიანელი ვარ. გავსინჯე ხაჭაპური და ძალიან მომეწონა.

***– რაზე ილაპარაკეთ მწვრთნელთან და რა ენაზე – ქართულად, ინგლისურად თუ რუსულად?***

– რუსულად ვისაუბრეთ, თუმცა ინგლისურიც ვიცი. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ აქვს ჩემი იმედი. გუნდს ჯერ არ შევხვედრივარ. თბილისის დინამოს მიზნად დაუსახეს, რომ მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატი და თასი მოიგოს. ამჟამად საქართველოს ჩემპიონი ბათუმის დინამოა...

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

და როზა, სიძე ანატოლი შამუგია, შვილები ედვარდი და სოსო, შვილიშვილები გიორგი და რიჩარდი მწუხარებით იუწყებიან

**ონერი ირადიონის ძე ცატავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის თანასოფლელები, თანაკლასელები, მეგობრები, ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან საინფორმაციო-საალრიცხვო ცენტრის დირექტორის, სამურზაყანოს საუკეთესო შვილის, საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანის, სტუმართმოყვარისა და საუკეთესო თამადის

**ონერი ირადიონის ძე ცატავას**

გარდაცვალებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კათედრის პროფესორის, ქალბატონ თამარ ლაზარიაშვილის ძმის

**სოლომონ (სულიკო) ლაზარიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ინფორმაციის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ქვის ბოძებზე მდგარი ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5., მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 6. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. თავხედური გულახდილობა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 18. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.

**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მამაკაცის ძველებური უნგრული პალტო; 8. მხარე საქართველოში; 9. გაწყალებული ღვინო; 14. ოსური ცეკვა; 15. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 17. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 20. საქონლის ჯოგი; 22. წვრილი წვიმა; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 27. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველებური სახელწოდება; 28. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. კომუნა; 3. ნოლბელიუმი; 4. ცერული; 5. ფოლიანტი; 7. ქოსა; 11. სოპრანო; 13. კაჭკაჭი; 15. განდი; 16. მოძმე; 18. ნივეა; 19. ლარნი.

**თარაზულად:** 6. აფექტი; 8. ლონდონი; 9. გურიელი; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. მიზანი; 17. მაჭანკალი; 20. ურანოსი; 21. ადაჟიო; 22. ელინგი; 23. ხელბურთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შუკა; 2. ემუ; 3. კაპიტალი; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. მესი; 7. ლაქტოზა; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. ბობი; 16. ჰუმუსი; 18. ენოლოგი; 19. ელარჯი; 21. ნესვი; 24. ტემზა.

**თარაზულად:** 1. შარდონე; 3. კვარცი; 8. ბოჰემა; 9. კოხი; 14. ელოპი; 15. დოკერი; 17. ჭონა; 20. ლენონი; 22. ლონჟა; 23. ლაისტი; 25. ფხა; 26. უშბა; 27. ალია; 28. მოლდავეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0964

ევრო — 3.5023

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1894

100 რუსული რუბლი — 4.0876

## ამინდის პროგნოზი 6 იანვრისათვის




## ერლინგ ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს



დორტმუნდის ბორუსიის ნორვეგიელ ფორვარდს ერლინგ ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს და ის თანახმაა, რომ კატალონიური გუნდის წევრი გახდეს, თუ ბარსელონა და ბორუსია შეთანხმდებიან.

ჰოლანდმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ახალი გამოწვევები სურს და ის ბორუსიაში დიდხანს გაჩერებას არ აპირებს.

ჰოლანდის ტრანსფერი ბარსელონას მინიმუმ 80 მილიონი დაუჯდება.

## რეალი აზარის გაყიდვას აპირებს



მადრიდის რეალი მზად არის, ედენ აზარი გაყიდოს, თუ გამოჩნდება კლუბი, რომელიც მის ტრანსფერში სოლიდურ თანხას გადაიხდის, თუმცა კონკრეტული თანხა არ სახელდება. აზარმა რეალში მოლოდინი ვერ გაამართლა და გასაკვირი არ არის, რომ ანჩელოტის მისი იმედი აღარ აქვს.

ბოლო წლებში აზარი ძირითადად ტრავმებს იღებდა და მან ძალიან ბევრი მატჩი ამის გამო გამოტოვა.

## კარაგერმა სადიო მანე გააკრიტიკა



ლივერპულის ლეგენდამ ჯეიმი კარაგერმა სადიო მანეზე ისაუბრა და თქვა, რომ სენეგალელს კონკურენტი სჭირდება იმისთვის, რომ მან მაღალ დონეზე თამაში განაგრძოს.

კარაგერის აზრით, მანემ იცის, რომ ის ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში იქნება და ეს ფაქტორი მას ხელს უშლის.

კარაგერმა ლივერპულზეც ისაუბრა და თქვა, რომ მერსისაიდელებს სტაბილურობა აკლიათ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კიმ ჩენ ინი წარმოუდგენლად გახდა



კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ინი ისევ გამოჩნდა საზოგადოების წინაშე და ქვეყნის შრომის პარტიის ყრილობაში მიიღო მონაწილეობა. ამასთან მასმედიის ყურადღება ჩრდილოეთკორეელი პოლიტიკოსის გარეგნობის მორიგმა ცვლილებამ მიიპყრო, ის წარმოუდგენლად გახდა.

კორეის ცენტრალურმა სატელეფონო სააგენტომ გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც პარტიის უკანასკნელ ყრილობაზეა გადაღებული. მასზე კორეის შრომის პარტიის წარმომადგენლებმა 2021 წელს პარტიის პოლიტიკის რეალიზებასა და ასევე 2022 წელს ეკონომიკური კრიზისის პირობებში განვითარების სტრატეგიაზე იმსჯელეს.

ამასთან, გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გაცილებით გამხდარი და დახვეწილი ჩანს, ვიდრე ქვეყნის ხელისუფლებაში ყოფნის მთელი ათი წლის განმავლობაში გამოიყურებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 იანვრისათვის

**ვერძი** – ცრუ ინფორმაცია სამსახურში სიტუაციას დაძაბავს. ვიღაცა ცდილობს, ხაფანგი დაგიგოთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. წარმატება გელით ნებისმიერ საქმეში, ასევე – პირად ცხოვრებაში. **ტყუპები** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. გამოიჩინეთ ინიციატივა და კეთილგონიერება. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. წარმატებას მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **ლომი** – წინდაუხედავი მოქმედებები დაგაზარალებთ. ინტუიციას დღეს ნუ მიენდობით. **ქალწული** – საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. მოთმინება გმართებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობისას. **სასწორი** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ყველაფერში ზომიერება დაიცავით. **მორიელი** – ფიზიკური დატვირთვა გეკრძალებათ. ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **მშვილდოსანი** – საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. პლანეტები გირჩევენ, პრიორიტეტები სწორად განსაზღვროთ. **თხის რქა** – სიზმარი წინასწარმეტყველური იქნება. ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** – პოზიტიური დღეა როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **თევზები** – საქმიან პარტნიორებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. ეცადეთ, მცირეოდენი წვრილმანიც კი არ გამოგეპაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ადვოკატთან მამაკაცი მივიდა, მაგიდაზე ფურცლების შეკვრა დაუდო და ეუბნება:

– აი, ეს არის საქმე ლევანი გივის წინააღმდეგ! მოკიდებთ ხელს?

ადვოკატმა ფურცლებს გადახედა, შემდეგ ფეხზე წამოდგა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ეუბნება:

– გილოცავთ ბატონო ლევან! კანონი თქვენ მხარესაა!

– რაა? მე ლევანი კი არ გივი ვარ!

– არ ინერვიულოთ, ბატონო გივი! სასამართლო პრაქტიკა თქვენს მხარესაა!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სპორტით ხარ დაკავებული?

– სექსი ითვლება?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ არა.

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო! ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

– დიახ და ცუგრიკო, ვინ გაწყენინა?

●●●

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს.

– შენ რა, შეიშალე! ღამის სამი საათია! რა მოხდა? – ეკითხება ნამძინარევი ქმარი.

– თავი აღარ მტკივა.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რატომ ტიროდი სექსის დროს?

– საშინელი სიზმარი ვნახე...

●●●

მრავალშვილიან დედას ეკითხებიან:

– რამდენი ბავშვი გყავთ?

– შვიდი.

– რამდენი წლისანი არიან?

– თორმეტის, თერთმეტის, ათის, ცხრის, რვის, შვიდის, ექვსის, შემდეგ კი ტელევიზორი გვაჩუქეს.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– თითქმის მთელი დღეა გიყურებ და სულ მანქანით დადიხარ აქეთ-იქით. რაშია საქმე?

– ბიჭო, წარმოგიდგენია? გუშინ მანქანის ავზი გავავსე ბენზინით, დღეს კი გაიაფებულა.

– მერე?

– მერე, მინდა, რომ ის ბენზინი დავწვა მთლიანად და დღეს გაიაფებული ჩავასხა, თორემ ხვალ ისევ რომ გაძვირდეს!

●●●

გათხოვების მსურველი გოგონას განცხადება:

– ვეძებ ჯადოქარს. მეზღაპრე უკვე მყავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მსახიობი ნიკა ქაცარიძე გარდაიცვალა



რუსთაველის თეატრის მსახიობი ნიკა ქაცარიძე 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მსახიობის გარდაცვალების მიზეზი გული გახდა.

სამწუხარო ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– უდიდეს მწუხარებას და ტკივილს განიცდის ჩვენი თეატრი დღეს. გარდაიცვალა მსახიობი ნიკოლოზ ქაცარიძე.

ნიკა ქაცარიძე წლების განმავლობაში რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო და არაერთ სპექტაკლში მონაწილეობდა. თეატრის გარდა, მსახიობი მონაწილეობდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“, ასევე თეიმურაზ კვანტალიანის ფილმში „მიცვალებულთა კუნძულზე“.

## სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმები ეროვნულ მუზეუმში გამოიფინება



გენიალური მხატვრის სოლიკო ვირსალაძის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში გამოიფინება.

ხელოვანის 113-ე დაბადების დღეზე 14 იანვრიდან სოლიკო ვირსალაძის სახელობის ფონდი დამთვალიერებელს უნიკალურ ექსპოზიციას შესთავაზებს.

20 წლის შემდეგ პირველად წარმოდგენილი იქნება მხატვარ-სცენოგრაფის სოლიკო ვირსალაძის რეტროსპექტული გამოფენა, რომელიც მოიცავს ხელოვანის 200-მდე ნამუშევარს და მხატვრის სხვა საარქივო მასალებს.

მათი უმრავლესობა დამთვალიერებლისთვის უცნობია.

სოლიკო ვირსალაძემ ილიკო სუხიშვილთან და ნინო რამიშვილთან ერთად ანსამბლ „სუხიშვილების“ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. სწორედ მისი უნიკალური კოსტიუმებით შეიმოსნენ ანსამბლის მოცეკვავეები.

სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმები და საარქივო მასალა ეროვნულ გალერეაში 13 თებერვლამდე იქნება წარმოდგენილი.

## დავით დეფი გოგიბედაშვილმა ნიუ იორკში გაიმარჯვა



ქართველმა პოეტმა დავით დეფი გოგიბედაშვილმა ამერიკაში, კერძოდ, ნიუ იორკში გამართულ ხელოვანთა ფორუმზე პირველი ადგილი დაიმსახურა.

საუკეთესოდ ქართველი პოეტის ნამუშევარი „პოეზიის ორკესტრი – იდეალისტები“ დასახელდა, რომელიც ახალგაზრდა არტისტთა კონკურსის ჟიურიმ პირველი ადგილის მფლობელად გამოაცხადა.

დავით დეფი გოგიბედაშვილმა გამარჯვება საუკეთესო ექსპერიმენტული პოეზიის შესრულების კატეგორიაში მოიპოვა.

## მადონამ დემნას სამოსში იპოზიორა



მსოფლიო ვარსკვლავმა მადონამ ქართველი დიზაინერის დემნას სამოსში იპოზიორა.

63 წლის მომღერალმა დემნას კოლექციებიდან ერთ-ერთი შეარჩია, რომელიც ულამაზესი ცისფერი ყვავილებით არის მოჩითული.

დემნა ის ქართველი დიზაინერია, რომლის სამოსიც ყველაზე მეტ მსოფლიო ვარსკვლავს აცვია.

რიანა, ჯენიფერ ლოპესი, ბელა ჰადიდი, სელენა გომესი, ლედი გაგა, ნიკოლ კიდმანი – ეს იმ მსახიობების, მოდელებისა და მომღერლების არასრული სიაა, რომლებიც დემნას სამოსით თავს იწონებენ.

## ჭაბუა ამირეჯიბის 100 წლის იუბილე რუსთავში აღინიშნა



კლასიკოსი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის 100 წლის იუბილე რუსთავში აღინიშნა. მწერალმა მერაბ რატიშვილმა საზოგადოებას წარუდგინა თავისი წიგნი „დაკარგული ფურცლები“, რომელიც ჭაბუა ამირეჯიბის თანხმობით გამოიცა.

რუსთავში მდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკაში მწერალმა მერაბ რატიშვილმა „დაკარგული ფურცლების“ შესახებ ისაუბრა.

წიგნი „დათა თუთაშხიას“ ერთგვარი გაგრძელებაა, რადგან მასში მკითხველი გუდუნას მომავალი ცხოვრების შესახებ შეიტყობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ჩეჩნეთის ძველი სახელწოდება; 2. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. ფულის გამოშვება; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. დიპლომატიური წარმომადგენელი; 11. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. ისტორიული ციხექალაქი ბათუმის მახლობლად; 16. წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 18. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 19. კოვბოების შეჯიბრი.

**თარაზულად:** 6. ქართველი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 8. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 9. წვრილად დაჭრილი შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 10. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. სწრაფმავალი, მოტორიანი ნავი; 21. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 22. კუთხე საქართველოში; 23. ფოთის პირველი მერი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*